

1936

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# სიმბოლო

1936



№  
8-9

# „პიონერი“

სამ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და

საქართველოს განსახორციელებელი

ერთიერთი პურნალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით

ერთიერთი  
საქართველო

## № 8-9

### აგვისტო-სექტ. - 1936

წალიწალი 89-11

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34

ტელ. № 3-02-61

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	83:
1. ცოფიანი ძაღლები . . . . .	1
2. ფრიც და დეა. მოთხრობა — ია ჩხაიძისა . . . . .	3
✓ 3. ნადირობა. მოთხრობა — ირ. ევლოშვილისა . . . . .	5
4. ირ. ევლოშვილი. (გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო) — ალ. სულავასი . . . . .	6
✓ 5. ვინ უნდა ვიყო? ლექსი — ვ. მაიაკოვსკისა. თარგმნა მ. პატარიძემ	10
6. ვალოდია კოკინაის ვაფრენა სტრატოსფერაში. (დასასრული) —	12
7. პეტრიკა და პეტრიკელო. ზღაპარი გრიშისა. თარგმნა ნ. ლ-ძემ	13
8. თოჯინების თეატრი თ. ბელიაშვილისა. . . . .	16
9. დათუნას მოგზაურობა (პიესა) . . . . .	17
10. ხმელეთის და ზღვის ღორები ვ. კახიანისა . . . . .	19
11. მხატვრული სიტყვები . . . . .	გარეკანის 3
12. მოძრავი თამაშობანი . . . . .	გარეკანის 4

ქურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქოქიაშვილის, ა. გოგოლაშვილის და გ. კახიძის მიერ.

# სოფიანი ქაღაზი

სულ რამოდენიმე დღის წინ პროლეტარულ სამჯავროს წინაშე იდგა თვალთმაქც ადამიანების სისხლიანი ბრბო, რომელთაც ჯერ სერგეი მირონის-ძე კი როვის სისხლი არცკი შესრობიათ ხელებზე. ხალხის მტრებს, ტროცკისტულ-ზინოვიევიან ჯგუფს, უნდოდა კომუნისტურ პარტიისათვის თავი მოეკვთა, მოეკლათ ჩვენი ბელადები, მოეკლათ ადამიანთა შორის უდიდესი ადამიანი — მშობლიური სტალინი. მეგრამ მათ ანგარიში შეეშალათ. ტროცკისტებ-ზინოვიევიანებმა და მათმა პატრონებმა ფაშისტებმა ვერ იანგარიშეს კარვად, რომ დიდი სტალინის გარშემო უძლეველ ცოცხალ კედლად არის აღმართული მთელი საბჭოთა ხალხები, რომლებიც მზად არიან მთელი თავიანთი სისხლი წვეთ-წვეთად გაიღონ სტალინურ იდეების გამარჯვებისათვის.

ვინ არიან ტროცკისტ-ზინოვიევიანები?

ისინი არიან მუშათა კლასის გაყიდველები, რომელთაც არა სწამთ სოციალისტური გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ისინი წარმოადგენენ გერმანიის ჯაშუშურ ორგანიზაციის გესტაპოს აგენტებს. მათ 1934 წელს, 1-ლ დეკემბერს, მუხანათურად მოჰკლეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივანი, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, სერგეი მირონის-ძე კიროვი და აწყობდნენ ან. სტალინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, ყდანოვის, კოსიორის, პოსტიშევის მოკვლას.

— რას მოითხოვდნენ ტროცკისტ-ზინოვიევიანები, რა უნდოდათ მათ?

— მათ პროგრამა არა აქვთ. სასამართლომ გამოარკვია, რომ ზინოვიევიანები და ტროცკისტები 1932 წელს ძმათ შე-

ფიცულან, რომ ერთმანეთს არ უღალატებენ, შეთანხმებულან რომ ტერორი მოეწყობათ ჩვენი პარტიის ბელადების წინააღმდეგ. მათი „იდეა“ მდგომარეობდა იმაში, რომ მკვლევლობათა გზით დაპატრონობოდნენ, ხელისუფლებას. საბჭოთა სასამართლომ გამოაშკარავა და მთელს მსოფლიოს დაანახვა, რომ ფაშინმა იყიდა ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და მთელი მათი ხროვა, გამოიყენა ისინი თავის დაქირავებულ აგენტებად, რომლებიც მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, და არც თავიღობდნენ.

დამტკიცებულა, რომ პირველად ტროცკიმ გადმოისროლა ტერორისტული ლოზუნგი — „თავიდან მოვიშორეთ სტალინი“. ეს იყო მოწოდება, რომლის შესასრულებლადც დაირაზმენ ტროცკისტ-ზინოვიევიანთა ბანდები. ამრიგად მათ რევოლუციის ლულა დაუმიზნეს პარტიის მშვენიერ მგძნობიარე გულს. მათ უნდოდათ მოეკლათ ის, ვისაც საბჭოთა კავშირი ბედნიერებისა და აყვავებისაკენ მიჰყავს. მათ უნდოდათ, მსოფლიო მუშათა კლასისათვის წაერთმიათ ის, ვისი სიცოცხლეც ხალხს ეკუთვნის, მათ უნდოდათ მოეკლათ ჩვენი მამა, ბელადი და მას წაეღებელი, სტალინი.

— რა შხამიანი გული ჰქონათ. ისინი ადამიანები კი არა, მხეცები ყოფილან!

— ს. ს. რ. კავშირის პროკურორმა, ამხ. ვიშინსკიმ, მათ გაცოფებული ძაღლები უწოდა, ცოფიანი ძაღლი არაფერს არ ერიდება, ამდენად ის მხეცზე უარესია. პროკურორი შეეკითხა კამენევს: საიდან აღეძრა ასეთი გაბოროტება? მან უპასუხა: ჩვენს გაბოროტებას სოციალიზმის წარმატებები იწვევდაო. მაშასადამე, რადგანაც ჩვენმა ხალხმა ბედნიერად და შეძ-



ღებულად იწყო ცხოვრება, რადგან აშენებულია სოციალიზმის დიდებული შენობა, მათ გულზე ბოღმა შემოაწვათ და როდესაც სტალინის, ვოროშილოვის, კავანოვიჩის, ორჯონიკიძის, ჟდანოვის, კოსიორის და პოსტიშევის მოკვლაზე ოცნებობდნენ, ამით ისინი ოცნებობდნენ ხალხის ბედნიერებისა და სიხარულის მოსაპოვებზე. ამიტომ არ აქვს ხალხის მრისხანებას საზღვარი. ამიტომ დელაეს საბჭოთა ხალხი და წყველა-კრულვას უთვლის საზიზღარ მკვლელებს.

ს. ს. რ. კავშირის სამხედრო კოლეჯიამ შეასრულა ხალხის მოთხოვნა, ცოლიან ძაღლებს: გ. ე. ზინოვიევს, ლ. ბ. ჯამენევს, გ. ე. ვედოკიმოვს, ი. პ. ბაკაევს, ს. კ. მრაჩკოვსკის, ვ. ა. ტერვა-

განიანს, ი. ნ. სმირნოვს, ე. ა. დრევეცკის, ი. ი. რეინგოლდს, რ. ვ. პიკელს, გოლცმანს, ფრიც დავიდს (ილია-დავით ისრაელის-ძე კრუგლიანსკის), ვ. პ. ოლბერგს, ვ. ზ. ბერმან-იურიანს, მ. ი. ლურიეს და ნ. ი. ლურიეს დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. ამის შემდეგ უფრო სუფთა გახდა ჰაერი. კიდევ უფრო მხიარულად ახმაურდნენ დაზგები, კიდევ უფრო სწრაფად ამოძრავდნენ მშრომელთა ხელები, კიდევ უფრო მაღლა აფრინდნენ საბჭოთა თვითმფრინავები. ახალი სტახანოვური რეკორდებით აღინიშნება შემდგომი პერიოდი. ჩვენი ქვეყანა წავა სწრაფი გზით ადამიანის ბედნიერების ახალი მწვერვალების მისაღწევად.



ოქტომბრელები ცეკვავენ ბალეტს მოზარდ მაყურებელთა თეატრში

# ფრიც და დეა



## ნა ჩხაბძე

ვილიამ გრიგუარი დაღონებული ბრუნდებოდა შინ. მთელი ქალაქი მოიარა, მაგრამ ვერსად ვერ იშოვა პურისა და ხორცის ფული. ქალაქი საესე იყო სანოვავით, შინ კი ბავშვები შიმშილით ეხოცებოდა. აღარ იყო საშველი... ვენა, ავსტრიის დედა ქალაქი, ჯოჯოხეთად გადაქცეულიყო მრავალი ათასი მუშისათვის. გაბოროტებული ბურჟუაზია სისხლის ღვარში ახრჩობდა ვენის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას. ყოველ ღამეს ისროდნენ ტყვიამფრქვევებს, ხვრეტდნენ მუშებს... ქარხნებში მუშაობა შეწყვეტილი იყო.

ვილიამ გრიგუარს შინ ორი ბავშვი ელოდა: 12 წლის გოგონა დეა და 7 წლის ბიჭი ფრიც, ბავშვები მშვიერები იყვნენ. ვილიამის უფროსი შვილი დანიელი ვასულ წელს საბჭოეთში წავიდა. გრიგუარიც ფიქრობდა თავისი პატარა ბავშვებით გაპყლოდა უფროსი შვილს, მაგრამ არ მოხერხდა.

მამას ხშირად მოსდიოდა წერილები დანიელი-საგან, წერილები იმედებით იყო სავსე. გრიგუარი აღტაცებით უკითხავდა ამხანაგებს შვილის მონაწერს... № დღე ვილიამი წელმოწყვეტილი, უიმედოდ მიდიოდა შინ. გზაზე ჯარისკაცები ხედებოდნენ. ყველა მოსახვევში ბარეკატები იყო აღმართული, მაგრამ ბრძოლა არ წარმოებდა.

— ო, ამაღამ გადაწყდება ყველაფერი! — გაიფიქრა მან, სახლს, რომ მიუახლოვდა.

— ვილიამ, — ჩაესმა გრიგუარს ნაცნობი ხმა, — შეჩერდი... გრიგუარა შეჩერდა. ფოსტის მოხელე სტიმსონი იცნო.

### II

ბავშვები მოუთმენლად მიელოდნენ მამის დაბრუნებას. შიოდით. დილით მხოლოდ ყავა დალიეს. ფრიცი გამულმეზობით ლაპარაკობდა:

— მოვა მამა და პურს მომიტანს!

— ვინ იცის, ფრიც, შეიძლება ვერ მოგვიტანოს, — უნუგეშოდ ბუტბუტებდა დეა, გოგონას ცისფერი თვალები ცრემლებითა და უიმედობით იყო სავსე. ღამით მამა-სახლიდან გადიოდა, და ბავშვებს შიმის ზარს გვრიდა ზარბაზნების საშინელი გრიალი. დეა გრძობდა ცხოვრების მოუწყვსრივებლობას და აღტაცებით უამბობდა ფრიცს მათი უფროსი ძმის დანიელის შესახებ, რომელიც დედის სიკვდილის შემდეგ ბენდიერ ქვეყანაში გაიქცა.

— ფრიც, ჩემომამა... მალე მოვა ჩვენი დანიელი, იგი წავიყვანს ჩვენ იქ, სადაც ყველაფერი ბევრია... სადაც ჩვენ ვისწავლით, სადაც პურიც არის და ხორციც, სადაც...

- მაქარიც იქნება, ხომ, დეა?
- მაქარიც იქნება, ჩემო ძამიკო...
- მალე მოვა ჩემი ძმა?
- სუ...

ნაბიჯების ხმაური მოისმა. დეა კარებს მივარდა გაალო. ოთახში ვილიამ გრიგუარი შევიდა და თან უცნობი მამაკაცი შეჰყავა. ორივენი ჩაფიქრებულნი იყვნენ.

— მამილო, პური! — მივარდა ფრიც მამას. ოთახში ბნელოდა. დეამ ლამა აანთო და დანიანა: ვილიამს პური და წერილი ეჭირა ხელში.

— მამა! — მივარდნენ ბავშვები და პურს ჩაავლეს ხელი.

— ჩაი აადულე, ჩემო დეა. ამაღამაც შიმშილი მოგელოდათ, ჩემო საწყალო ბავშვებო, რომ თქვენ ძმას, დანიელს, არ მოგონებოდი: ბენდიერი ქვეყნიდან წერილი და ფული გამოგვიგზავნა.

ფრიცი დათვის ბელივით ეცა პურს. დეამ ჩაი დაადგა. გრიგუარ და ვილიამ უცნობი კუთხეში მიჯდნენ. უფერად მიიმედ გავარდა ზარბაზანი და ოთახი შეაზრილა. გრიგუარი თანჯარას მიადგა.

სულ ახლოს მუშათა უბანში ტყვიამფრქვევი ავაკანდა.





— მთავრობის ჯარისკაცები! — დაიყვრა ვილიამმა.  
— არიქა, თოფი! — იგი ლოვინს მივარდა. სტუმარმაც  
მას მიშპაძა. ისინი სწრაფად შეიარაღდნენ. ჩაისათ-  
ვის აღარ დაუცდიათ. გრიფურმა ბავშვები დაარბა  
და სწრაფად გავიდა გარეთ.

### III

საზარელთ ღამე იყო. ვათენებამდე არ შეჩერე-  
ბულა სროლა. ვენა ვაქედელი იყო მთავრობის  
ჯარისკაცებით. ისინი მშვიდ მგლებივით დაძრწო-  
დნენ ქუჩებში. ყველგან ბარიკადები იყო აღმართუ-  
ლი. ვენის პროლეტარიატი ბოლშევიკური პარტიის  
ხელმძღვანელობით უკანასკნელად გადადიოდა შე-  
ტევაზე. ძირვამოკრილ ხესავით თრთოდა ავსტრიის  
ბურჟუაზია. ვადამწვევტი იერში მიჰქონდათ აჯან-  
ყებულ მუშებზე მთავრობის ჯარისკაცებს. ვანსაკუ-  
თრებით ცუდი მდგომარეობა იყო მუშათა უბნებში  
მუშათა ოჯახების აობრებითა და ვანადგურებით  
ციდილობდა ბურჟუაზია მათ დაშინებას.

ღეა და ფრიცი მამის წასვლის შემდეგ კარგად  
გაძლენ პური. ბავშვები შეჩვეული იყვნენ ზარბაზ-  
ნებისა და ტყვიამფრქველების ხმაურს. ფრიცს მა-  
ლე ჩაეძინა. ღეამ სათუთად ვახსნა დანიელის წე-  
რილი. ჰქვიანი გოგონა აციაგებული თვლებით  
დასცქეროდა ბატარა ქალაღს. იქ მოკლედ ეწერა.

„ძვირფასო მამა!“

„მე მოსკოვში ვიმყოფები. კარგად ვარ.  
ცხოვრება ბედნიერებაა. ო, რომ იცოდენ, მა-  
მა, აჭაური ამბები!!! მაგრამ მეტის მოწერა  
არ შეიძლება; ვიცი თუ ვაგვარძლე წერილი,  
მას თქვენ ვერ მიიღებთ. ვიგზავნი ფულს, მო-  
მიკითხე ჩემი ძვირფასი ღეა და ფრიცი, გი-  
სურვებთ ისეთ ცხოვრებას, როგორც აქ, საბ-  
ქოთა კავშირში, ცხოვრობენ მუშები და გლე-  
ხები. გკოცნით ყველას.“

„გწერს დანიელ გრიფური“. უარყენულნი  
ღეამ სამჯერ აკოცა წერილს, გულს ჩაუკრა და  
და მიწვა, გარეთ ისევ გრიადებდა ზარბაზნები. სულ  
ახლოს ვილაცა კიოდა. ღეას ჩაეძინა, გულზე მძის  
წერილი ეფინა. დაეძინა ბატარას, ტკბილად ეძინა  
მაგრამ აი ვათენდა, ოდნავ შენეღდა სამოქალაქო  
ომის ქარიშხალი. ზარბაზნებს ახლა მხოლოდ ქა-  
ლაქ გარეთ ისროდენ.

ღეა შეცარმა ხმაურმა გამოაღვიძა, ვილაცა აწვე-  
ბოღა კარებს წინ ფანჯარასთან უცნობებს მოჰკრა  
თვალი. ბავშვი სწრაფად წამოვარდა ლოვინიდან.


— ღეა! — დაიძახა ვილაცამ. მამის ხმა არ იყო.  
ღეამ ფრიცი გააღვიძა.

— ღეა, გააღე კარები.  
გოგონამ მეზობელი ფრიდრიხ — ევლისონი იცნო,  
კარები გააღო, ოთახში დღის სინათლე შემოიჭრა.  
ღეა კარებში ნელა შემოვიდნენ ქუღმობილი მუ-  
შები და მკვდარი ვილაამ გრიფური შემოასვენეს  
— მამა!!! — დაიწვიღა ღეამ და ვასისხლიანებულ  
ცხეღარს დაეცა.

### IV

გავიდა სამი თვე. ვენის ამბებმა მთელი მსოფ-  
ლოს პროლეტარიატი ააღლვღა, ყველგან მძღაღრად  
ვაისმა საბროტეტო ხმა. ავსტრიის ბურჟუაზია თა-  
ვის ქვეყნის მუშებს ეელური სიმკაცრით ვაუსწორო-  
და. კიდევ არ წყდებოდა მუშების ღეენა, დაბატიმ-  
რება და დახვრეტა. მთავრობის ჯარისკაცები ობ-  
ლად დაჩინილ ბავშვებს ქუჩებში ერეკებოდნენ.  
კომინტერნის სექციები სხვადასხვა ქვეყნებში აგრო-  
ვებდნენ დახმარებებს ავსტრიელი მუშების ბავშვე-  
ბისათვის, აძლევდნენ მათ თავშესაღარს, საბჭოელი  
პირველი იყო ამ შერივ.

ერთ დღეს მოსკოვის საღღური და ვანაპირა ქუ-  
ჩები თვიდან ბოლომდე ვაქედელი იყო პიონერთა



ათასეულებით. წითელი დროშების ტყე გაძლიერებული ცეცხლის ალივით ირხეოდა ქუჩებში. სადგური მღელვარებდა, საბჭოთა ქვეყნის პიონერები ავსტრიის მუშების ობოლ ბავშვებს ხვდებოდნენ.

უეცრად შორიდან ორთქლმავლის კვირი მოისმა. — მოდის... მატარებელი მოდის...

დროშები ცეცხლმოდებულ ტყესავით შეირხა, და სადგურში გრიალით შემოიჭრა ჩქარი მატარებელი. უეცრად პიონერების თავზე ლამაზლამაზი ყვავილები აფრიალდა, ჩიტებივით აირია უცხო ენებზე დაწერილი პლაკატები. მატარებლის ფანჯარებს უცხო ქვეყნის ბავშვები მოადგნენ. ისინი საბჭოეთში მოვიდნენ მტკიცე იმედით, რომ აქ ყველაფერი იქნება მუშების შეილებსათვის.

მატარებელი გაჩერდა. პიონერთა რიგები სწრაფად გააჩლია ერთმა ახალგაზრდა კაცმა და მარლად ავიდა ვაგონში.

— ავსტრიიდან მომავალი მატარებელი ეს არის? — დიახ.

ახალგაზრდა კაცი სირბილით წავიდა და მეხუთე ვაგონი მონახა, გული ძალზე უტემდა. იგი კარებთან შეჩერდა, მერე სწრაფად შევიდა და თავისი

ქვეყნის ბავშვებს თვალი მოავლო. ბავშვები რაღაცით შეხვდნენ მას, უეცრად ზურგს უკან კლავიკმა გაუბედავად დიძახა:

— დანიელ! — ეს იყო პატარა დეა, ვილიამ გორგუანის გოგონა.

— დეა... ჩემო დეა... ფრიც! — ჩაიკრა ძმამ პატარა ბავშვები გულში და დაუწყო კოცნა.


— მამა? მამა სად არის, დეა? რისთვის არ მწერდი მამაჩემის შესახებ რაიმეს? — ჰკითხა დანიელმა.

— მამა? — აქეთიინდა დეა, — მამა მოკლეს... თითქოს შეიხმრა მატარებელი, ასე მოჩვენა დანიელს. მწარედ ეტკინა გული, მაგრამ არ შეიმჩნია, ბავშვები გააზნებდა.

— დანიელ, სად ვართ ჩვენ ახლა? დანიელი დაიხარა, აკოცა დასა და ძმას და მიუგო:

— ჩემო დეა და ფრიც, ახლა თქვენ საბჭოეთის დედა ქალაქ მოსკოვში ხართ... თქვენ ბედნიერები ხართ დღეიდან. აი, ჩემო პატარებო. ვადა ხედეთ სადგურს, ეს გამარჯვებული მუშების შეილების ათასეულები გვხვდებიან თქვენ.

გადაიხედეს, იქურობა წითელი დროშებით იყო აყვავებული. ფრიც და დეა ერთმანეთს ჩაეხვიენ.



### იროღიონ ავღოშვილი

საღამოთი პატრონტაში ჩამოვიღე კედლიდან და პატრონები დაეშადა. გავსინჯე თოფიც, გამოეწმინდე კარგად და ისევ კაიოზე ჩამოვიკიდე. ჩემი არაბო გაფუციკებით მადღენებდა თვალყურს, ხანდახან მოკრძალებით მომიახლოვდებოდა. თითქოს ეშინოდა, რომ ხელი არ შეეშალა, და სიამოვნების ნიშნად წინა ფეხებს მუხლებზე შემოილაგებდა ხოლმე. დილაადრიან სანადიროდ უნდა წავსულიყავ და ამას კარგადა გრძობდა არაბო. როდესაც ყველაფერი სამზადისს მოვრჩი. სანადირო ტანისხმოსიცი ლოგინთან ახლო დავილავე და დავწექ დისაძინებლად. არაბომ რამდენჯერმე შეხედა პატრონტაშს, თოფს, სანადირო ტანისხმოსს და ისიც იქვე ჩემს ახლოს იატაკზე წამოწვა. მე მალე მიმეძინა. არაბოც, რასაკვირველია, მოატყუებდა თვალს, მაგრამ ჯერ პირველი განთიადი კარგად არც კი იყო დაწყებული, რომ უცებ გამოამეღიძა. — აფ, აფ, აფ. — მიყვება არაბო ლოგინთან და თან ფეხებსა მცემდა საბანზე.

— მოიცა, მოიცა, ჩემო არაბულავ, მოიცა მეთქი, შე ვერანა, ცოტა კიდევ ჩაველიძო. — შევეტყე არაბოს, მაგრამ ის აღარ მასვენებდა. აფ, აფ, აფ! გამოიღვიძე დროა მიყვება არაბო და თან წკმუტუნებდა, ტიროდა, — ჩქარა — ჩქარა, ადექი, თორემ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიაო. მეტი რა ილაჯი იყო, უნდა ავმღვარიყავ, მარათლაც და ეს ჩვეულბრივი დრო იყო, ჩემი სანადიროდ წასვლისა. არაბომ კარგად იცოდა ეს და ამიტომ მალეიძებდა კიდევ.

ზოფულის გროლმა ლამე მამებრა სიო და მთლად ვადამიფანტა ძილის ბურანი. მალე ვავიარეთ სოფელი და შევეუღეით მთას, რომელზედაც დაბურულ ხეებ შუა ბილიკი მიდიოდა. მართალია, მთვარიანი ლამე იყო, მაგრამ ბუხილი ტყე ადგილადგილ ისე გადაშხვეოდა ერთმანეთს, რომ თვალთა წინ არა ჩანდა. ბილიკი ხშირად ღრმა ხრამის პირას გადიოდა. ის ზოგან ისეთი ვიწრო იყო, რომ საკმარისი იყო ერთი ფეხი არ გადამეღვა სწორედ და სი-



ცოცხლეს გამოვსაღებულებიყავ, კლდეში გა-  
ღაჩხილს გვერდები მინც წამმტვრეოდა. წყუ-  
ლიადში არაბოსაც კარგად ველარ ვარჩევდი,  
რადგანაც ჩემი არაბო არა ნაკლებ შავი იყო  
ღამეზე. მაგრამ მე თუ კარგად ვერ ვხედავდი  
გზას, საავეიეროდ არაბოს ერთი ნაბიჯიც არ  
ეშლებოდა. ის მიდიოდა ჩემ წინ, მე მის ფე-  
ხის ხმას მიედევი, ხანდახან კი, როდესაც შე-  
ტისმეტად საეჭვო იყო ხოლმე რომელიმე გა-  
დასასვლელი ადგილი, საქმარისი იყო შევმდგა-  
რიყავ, ხმა მიმეცა არაბოსათვის, და ისიც ფე-  
ხებზე დამიჩყებდა ხოლმე კუდის ცემას და  
ასე გაპაცილებდა საშიშ ადგილს.

ღიახ, კკეიანი იყო, კკეიანი და გონიერი  
ჩემი არაბო! განთიადისას უკვე ავახწყით მთას,  
აქ კი ჩემს თვალწინ გადაიშალა ლანგარით  
სწორი მიწილორი, რომელიც ყანას ოქროსფერად  
აელამაზებია:

ადგილ-ადგილ პატარა ქედებ შუა ნისლი  
ჩაყოლილიყო, ისიც ახლად იღვრებდა, თრთო-  
და, იზღანზნებოდა, ხან იშლებოდა, ხან კი  
ზოლ-ზოლებად ჩადიოდა ყანაში და გამაძლარ  
თავთავეებს ნამად ეწვიებოდა ზედ. უჩვევე თვალს  
ლევა ნისლი დილის ბინდბუნდში შორიდან  
ტბად მოჩვენებოდა. ისინი თრთოდენ დილის  
ნიაზე და ხან იშლებოდნენ, ხან თეთრ ქარა-  
ვანივით მიიზღანზნებოდნენ. საკვირველი მხო-  
ლოდ ის იყო, რომ ეს პაწია ტბები დასვენე-  
ბულიყენენ ოქროსფერ ყანის თავთავეებზე, ეხ-  
ვეოდნენ მათ გარშემო, ზოლ-ზოლებად, ზოგი  
შიგ ყანის გულში ჩადიოდა ზოლოდ და იქ  
იწვიებოდა ნამებად, ზოგი-კი ჰაერში იფანტე-  
ბოდა, ქრებოდა, ეს იყო ლევა ნისლი, რომლის-  
თვისაც განთიადს მოვსწრო ყანების გულზე და  
ეხლა ყანების გულზევე აღნობდა მას პატარ-  
პატარა წყლის ცეარებად.

— მოიცა, არაბო, მოიცა, ცოტა მზემ დაპ-  
კრას ყანას, შეაშრობს! ურჩევდი არაბოს, რო-  
მელმაც უკვე მოასწრო ყანებში განავარდება  
და თავისი შავი ქურქის ნაბით გაბანვა, მაგრამ,  
არაბო აღარა ცხრებოდა. ის შევარდებოდა ყა-  
ნაში, შედგებოდა იქ და შემომხედებოდა, აცა  
გაღმოიღო თუ არა თოფი მხრიდან, შეუდგე-  
ბით თუ არა „ნადირობასო“. სწორე გითხრათ,  
მეტი ველარ მოვითმინე, მონადირის საღერღელ-  
მა ხელი დამრია და შევერიე მაღალ ნამიან ყა-  
ნაში.

არაბოსაც ეს უნდოდა, მან კული ვაიბზიკა  
ერთი ორჯერ შეღვა უყანა ფეხებზე, გაჰხედა  
ყანის სიგრძე-სიგანეს, რომ დაეხსომებია როგორ  
და საით ეძებნა მწყერი, და შეუღდა თავის  
საქმეს.

მე თოფგამზადებული მივედევი არაბოს უკან.  
ბევრი მოლოდინი არ დამქირებია: მალე არა-  
ბომ ჩემიდან სულ ექვსიოდ ნაბიჯზე წამოაფ-  
რინა მწყერი, რომელიც ჯერ მაღლა აეშუა  
ისარივით, შემდეგ კი გასწორდა და შურდუ-  
ლივით ჰაერში გაეშუა.

დაიგრილა ჩემმა თოფმა, და სიცოცხლე გა-  
მოსალმებული მწყერი დაეშუა ყანაში. არაბოს  
თვალებს არც ეს გამოეხარა. ვიღრე მე დაც-  
ლილ პატრონას გამორეუცვილი თოფს, არა-  
ბომ უკვე პირით მომირბენია მოკალული მწყე-  
რი, დედა-მწყერი იყო, ზორბა და ჩასუქებული.  
ეკვი არაა, აქ მამა მწყერიც უნდა ყოფილიყო,  
ავრეთვე უკვე წამოზრდილი ბარტყებიც, ერთ  
სიტყვით, მთლად მათი ოჯახობა. არაბომ თავის  
საქმე კარგად იცოდა და იმავე ადგილს  
მოუსუნსულა. არც შევცდი: მალე მამალი მწყე-  
რიც ბზრიალით ამოფრინდა ყანიდან. ვერცკი  
მოასწრო კარგად გაემართა ფრთები, რომ ჩემმა  
თოფმა ისიც უსიცოცხლოდ დაუშუა ძირს. მას



მიჰყენენ ბარტყებიც, რომელნიც უკვე ისე დაზრდილიყვნენ, რომ მხოლოდ მონადირის გამოცდილი თვალი შეატყობდა, რომ ისინი ღვდა-მწყერები არ იყვნენ.

მაღე ჩემ სანადირო ქაშარს წთელი მათი ოჯახი ზედ ჩამოეკიდა უსიცოცხლო. მე თავდავიწყებული ერთი ყანიდან მეორეში გადავდიოდი და ისე არ მივატოვებდი არც ერთ მათვანს, რომ მოკლული მწყერი არ ჩამომეკიდა კისრით ჩემი ქაშარისათვის. ხანდახან კი, როდესაც მეც მიმტყუნებდა ხელა და თვალი, ავადვადვად ნიშანში და სიკვდილს გადაჩენილი მწყერი შიშისაგან ერთიან ფრთებდაქიმული მიზუზუნებდა ჰაერში ტყეისაგით, არაბო ჯერ მას გააყოლებდა გველვარებულ თვალებს, მერე კი მე შემომხედავდა ხოლმე უკმაყოფილოდ. მაგრამ ვინ იცის, როგორ უხარდა მწყერს კი ამ დროს, რომ ვადაურჩა ჩემი თოფის საუნატს და ისიც არ მოემატა ჩემს წელზე ჩამოკიდებულ თავის უბედურ მოძმებს.


შუადღის მზემ თავისი სხივები ზედ კისერზე დამკვირა. საშინლად ჩამოცხა, დრო იყო შესვენებისა, ვეღარც არაბო ეძებდა ხალისიანად, ისიც დაიღალა. მივავლ-მოვავლე თვალი ახლომახლო ყანებს და გავწყით ორივემ ტრატებ-გაშლილი მუხისაკენ, რომლის ჩრდილში არა ერთხელ მომისვენია; აქავე პაწია წყალი გამოწანწკარებდა, და ჩვენც ეს გვენდოდა, რომ გავგიღებულყავით.

მაღე და მე ჩემი არაბო წყაროს პირას ერთად ვსაუზმობდით. ისიც და მეც სიამოვნებით დავცქეროდით უსიცოცხლო ჩასუქებულ მწყერებს, რომლებიც მე წელიდან ჩამოვიხსენ, მე და ჩემი ძალი ახლა უსიტყვოდ ველაპარაკებოდით ერთმანეთს დღევანდელი ნადირობის ამბავს.

— აი ეს ღვდა-მწყერი, ესეც მისი შვილი, მაშინებდა თითქოს თვალებით არაბო, ერთად იყვნენ ჩახუტებულნი, მე რომ თვალი მოვკარ, ყანის პირში, ვგენიც რა ეშმაკები არიან: ხანდახან ისე გინანებებიან, ისე ამოეკვრებიან ბელტს, რომ ვერც კი გაარჩევ მიწისაგან. ესეც მავათი მეზობელია, იქავე ახლოს დასეირნობდა; ალბათ, დილის საუზმის შემდეგ საქმელს ინელებდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო არაბუშკა, ყოჩაღ! ოცდაათი მწყერი გვაქვს ჯერჯერობით. ცოტა

აგრილდეს და ისევე ჩვენს საქმეს შევადგეთ „გადაუსვამდი ხოლმე ხელს შევთავაზებოდა“. ჩემ მუსაფეში ვიყავით მე და ჩემს მხატვარს, მასამ უტებ თვალი რაღაცამ ცისკენ გაიტაცა. აიხედვდ მალა უშველებელი ძერა გამბლებული მოსდევდა რაღაც პაწია ფრინველს; ელვასავით გამოშვებული ფრინველი ხან ქვევით დექანებოდა უტებ, ხან მოულოდნელად გაუსხლტებოდა გვერდზე, ხან მალა შეჭკარავდა კამარას. მაგრამ ძერა მინც არ ეშვებოდა, ისიც სულ ახლო, თითქმის ერთი ნისკარტის გაწდაზე მისდევდა მსხვერპლს და მის ქმანდებს თავისი მოქნილი ფრთებით ასდევ ჩასდევდა. ზოგჯერ ისე დაფრინდებოდა ხოლმე, რომ აგერ-აგერ უკვე კლანქებში ეკვირა, მაგრამ პაწია ფრინველი, რაღაცნაირი თავისებური შეტრიალებით ძერას უკან უხსლტებოდა, წინ გამოქანებული ძერა კვლავ მიტრიალებოდა ხოლმე უკან, კვლავ იმართებოდა ჰაერში, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, მაგრამ ვამჩნევდი, პაწია ფრინველი თანდათან იღლებოდა, ერთი-ორი წუთიც — და ის უკვე მტრის ბრჭყალებში იქნებოდა, ისინი ამ დროს სწორედ ჩემს ასწვრივ ცაზე შეტრიალ-შეიბრძოლებდნენ, მოლოლი ფრინველი თითქოს თავის მწარე ხვედრს დამეორჩილა ფრთები მოუღუნდა, ეკვი არ იყო, მაღე ჰაერში მისი სისხლიანი ბუმბული ვიფანტებოდა.





„სე! ჰაე! ჰაე!“ შეუყვება ქვევიდან ამ დროს ჩემმა არაბომ, ძვრამ ჩვენ მხოლოდ ესლა შეგ-  
 ვნიშნა, ის შეკრთა ჩვენს სიახლოვეზე, გატ-  
 რილდა უკან და წაივდა მალა-მალა, მოლ-  
 ლილმა ფრინველმა იგრძნო მტრის მოზარება,  
 მაგრამ, ჩანს მეტი ფრენა მას აღარ შეუძლია,  
 მან თითქოს იგრძნო საიდან გადაურჩა მტერს  
 და იქით დაეშვა, სადაც მე და ჩემი არაბო ვის-  
 ხედით. მაგრამ იგრძალა ამ დროს ქვევიდან  
 წეშა თოფმა, ის ფრთებმოკუმშული წამოვიდა  
 ძირს. როდესაც ის არაბომ წყაროდან ამოიღო  
 და მომიტანა, მხოლოდ მაშინ ვიცანი, რომ ეს  
 გვიტი იყო, ლამაზი, კოწიია, ფრთებზე ოდ-  
 ნაე წითელფერ დაკრული და გულთეთრა გვიტი-  
 ვინ იცის, რამდენჯერ დაემტკბარვარ მისი  
 მშვენიერი ეკრიალით, როდესაც ის მინდორ-  
 ზე ქიალუს და პურის მარცვლებს, ან ბალა-  
 ხის თესლს ეძებდა, ვინ იცის, რამდენჯერ დამ-  
 ტკბარვარ ზაფხულში შუადღისას, სიცხის დროს,

როდესაც ყველა მგალობელი ფრინველი  
 ჩუმდება ხოლმე და ის კი ლულუნებს, ეფუქნებს  
 ნებს ტბილად, თითქოს გულში ტინას, აჩქარებს  
 ქოს ვილაცს მიდურება, დიას, ბევრჯერ, ძლიერ  
 ბევრჯერ მომისმენია მე მისი ტბილი ხმა, და  
 აი ახლა ორივე ფრთებ მოწყვეტილი, რომლი-  
 თაც დიდხანს იგრიებდა მძლავრ ძვრას ჰაერ-  
 ში, მიწაზე დასცა ჩემმა თოფმა. გვიტი ჯერ  
 ისევ ცოცხალი იყო, ის ჯერ ისევ სიცოცხლეს  
 ებრძოდა, მაგრამ ამაოდ. ორჯერ-სამჯერ მომაშ-  
 ტრა თავისი შავფრთილიანი თეთრი თვალები,  
 მეც დაუშვა თავი მოკლულ მწყურებზე, თით-  
 ქოს მათაც დაჰქვითინაო, შეთრთოლდა და გა-  
 ნუტტევა სული.

ძვრა კი ამ დროს ჩემიდან შორს წასული  
 ამაყად სრიალებდა ისევ ჰაერში და თითქოს  
 იქიდან მითვლიდა საყვედურს. მე თუ ძვრა ვარ,  
 ძვრა სისხლის მსმელი, შენ ხომ აღამიანი  
 გქვინაო...

# იკორინე ეპროზილი

(გარდაცვალებიდან 20 წლის შესრულების გამო)

ალ. სულავა

ის თაობა, რომელიც თავისი ბავშობის დროს ჟურ-  
 ნალ „ნაკადულს“ კითხულობდა, კარგად იცნობს  
 პოეტ იკორინეს ევლოშვილის სახელს.

ი. ევლოშვილი ლიტერატურული მოღვაწეობის  
 პერიოდში საბავშო ჟურნალებში იბეჭდებოდა ლექს-  
 სები ისეთი დიდი პოეტებისა, როგორიც ვაჟა-ფშა-  
 ვლა და აკაკი წერეთელი იყვნენ. მაგრამ ი. ევლო-  
 შვილის დამოკიდებულება საბავშვო ჟურნალებისადმი  
 განსაკუთრებით აღსანიშნავია.

ი. ევლოშვილი იშვიათი მზრუნველობით ეკიდებო-  
 და ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს — ამით აიხსნე-  
 ბა მისი ნაყოფიერი მუშაობა ჟურნ. „ნაკადულში“,  
 გარდა იმისა, რომ ის საგანგებოდ წერდა ბავშვე-  
 ბისათვის; მისი ისეთი ცნობილი ლექსები, როგო-  
 რიცა „ქარიშხალი“, „მეგობრებს“, „მატანტალა“,  
 „შემოდგომა“, „სიმღერა“ — საბავშო ლიტერატუ-  
 რის საგანძურში დიდი ხანია შესულია როგორც სა-  
 უკეთესო შედეგები.

ი. ევლოშვილი ქართულ მწერლობაში დემოკრა-  
 ტიული პოეზიის მამამთავრად ითვლება. მისი შემო-  
 კმედების ერთ-ერთი ნაყოფიერი და სასახელო პე-  
 რიოდი რევოლუციური სულისკეთებით იყო გაქლენ-  
 თილი.

ახალგაზრდობისას ი. ევლოშვილი სწავლობდა  
 ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ეს სასწავლე-  
 ბელი იმ დროს ახალგაზრდობის რევოლუციური  
 მოძრაობის ბუდეს წარმოადგენდა. ი. ევლოშვილი

მოჰყვა რევოლუციური აზროვნების გავლენაში, რის-  
 თვისაც ის სასწავლებლიდანაც დაითხოვეს. შემდგომ  
 მსახურობდა სხვადასხვა ადგილას და დიდ გაჭირ-  
 ვებას განიცდიდა. ევლოშვილი ახალგაზრდობიდანვე  
 უშუალოდ გაეცნო მშრომელი ხალხის სოციალური  
 ჩავჯვის და წამების მიზეზებს და ის თავისი პოეზიის  
 საგნად აქცია.

წერა ი. ევლოშვილი სემინარიაშივე დაიწყო,  
 პირველი ლექსები: — „გუბე“ და „გაზაფხული“ —  
 ბუნების აღწერასთან ერთად სოციალურ მოტივებ-  
 საც შეიცავს, მაგრამ ეს მოტივები უფრო მკვეთ-  
 რადაა გამოთქმული იმ ლექსებში, რომლებიც მისი  
 შემოკმედების საუკეთესო და რევოლუციურ ლექსე-  
 ბად ითვლება.

ი. ევლოშვილი შეეცადა მხატვრულად გადმოეცა  
 მშრომელი ხალხის, გაჭირვება მეფის თვითმყობე-  
 ლობის პერიოდში და ამიტომ მშრომელების გაჭირ-  
 ვებული ცხოვრების აღწერასთან ერთად რევოლუ-  
 ციური ბრძოლისაკენ მოწოდებითაც გამოვიდა.

ვის არ სმენია ი. ევლოშვილის შემდეგი ლექსი:  
 „მეგობრებო, წინ, წინ გასწით,  
 ნუ შედარება თქვენი გული,  
 დე, მკერდს სისხლის დალი აჩნდეს  
 და შუბლს ოფლის ნაკადული“.

იმ პერიოდში ასე წერა დიდი გაბედულება იყო, ეს  
 უკვე მშრომისა და ბრძოლის პოეზია იყო. პოეტს  
 არ ეშინოდა ბრძოლის, მას სჯეროდა, რომ მშრო-

მელი ხალხის მტრებზე გამარჯვება უბრალოდ არ შეიძლება.

1905 წლის რევოლუციას ი. ევდოშვილი აღფრთოვანებით შეხვდა, მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ სამწუხაროდ, დაცემულობის სულისკვეთებას მიეცა, და მის პოეზიაში ჩაქრა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი.

ი. ევდოშვილი ბევრს წერდა ბავშვებისათვის, როგორც ლექსებს ისე მოთხრობებსაც. მის ლექსებში გრძნობიერად აღწერილია ბუნების სურათები, თოვლაობა, ბავშვების ცელქობა, მერცხლის გაფრენა. ის თავის ლექსებში არ ეწყვეა ბავშვებისათვის მოსაბუჩრებელ ჭკუის დარიგებას, არამედ აღწერს და აჩვენებს იმას, რაც ბავშვის ბუნებაში ბავშური, ის აღწერს თამაშობისადმი მიდრეკილებას, სწავლის წყურვილს, ბუნების სიყვარულს.


ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოთხრობები, სადაც ხშირად ამბავი სასაცილო და მიმზიდველ მომენტზეა აგებული. («კალოზე, ბატონო მასწავლებლო», «ქაჯის ბაწარი»). ზოგ მოთხრობაში მას ბუნებისა და ცხოველებისადმი ვაჟა-ფშაველასებური სიყვარული ახასიათებს ამ მხრივ ძალზე ჰგავს ევდოშვილის «უბედური ქორბუღა» თავისი გრძნობიერი აღწერით ვაჟაფშაველას «შელის ნუკრის ნაამბობს». პოეტი ადამიანური შეცოდებით აღწერს ირმის თავგადასავალს, რომელსაც მონადირეებმა მოუკლეს მეგობარი — «ქორბუღა» მარტოხელად დარჩენილი ირემი დადის და მოთქვამს თავისი მეგობრის სიკვდილს.

როგორ და რაზე წერდა ევდოშვილი თავის საბავშვო ლექსებში? აი ლექსი «ვანო და თამრო» თამრო სკოლაში სიარულის სურვილს შეუპყრია, მაგრამ იგი პატარაა ამისათვის.

თამრო ტრის. მაგრამ ვანო ამშვიდებს: როცა გაიზრდები მაშინ გასწავლი სკოლის გზასო. ლექსში «თოვლაობა» აღწერილია ბავშური თავდავიწყებით თოვლაობით ვატაცება, ჩხუბი, კოჭრისაო. ლოდ და ცელქ ბავშვებს ერთიანად ახარებს ზამთარი და გაზაფხულიც. ავიღოთ ლექსი «მინდორზე».

ი. ევდოშვილის საბავშვო ლექსების დიდი უმეტესობა დაწერილია 1909 და შემდეგ წლებში, მაშინ, როცა ი. ევდოშვილი, დიდებისათვის წერდა დაცემულობის და უიმედობის გამოძახატველ ლექსებს, ბავშვებისათვის კი ისევ ცდილობდა ეწერა იმედიანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა წერდა გაზაფხულზე, ზამთარზე, სწავლაზე.

ი. ევდოშვილს მრაველი ლექსი აქვს გაზაფხულის სიხარულზე, მაგრამ ყველაზე ეს სიხარული ბავშვის სიხარულთანაა დაკავშირებული, ბუნება ზეიმობს გაზაფხულის მოსვლას, მაგრამ მასთან ერთად ზეიმობს ამ სიხარულს ბავშვიც. სკოლაში მიღის ბავშვი, თუ მინდორში ყვავილებს კრებს, პოეტი ყველაზე ცდილობს ბუნების სიხარულს დაუკავშიროს ბავშვის სიხარულს. დამახასიათებელია ამ მხრივ



სენდანი მწერლები: ი. ევდოშვილი და ია. ჟალოაძე (დგას) შთა მღვიმელი

ლექსი «შალვას დილა». სათამაშოდ გამოსულ შალვას სურს ბუნების მხიარულობაში მონაწილეობა მიიღოს. შალვას სურვილს სიხარულით ეგებებიან: შალვი იადონი, ბულბული, ყველა თავისებურად იხმობს სათამაშოდ.

«მათთან ერთად შალვაც ტუტებსა და მაისის ტურფა დილას შალვაც მათთან ეგებება».

ასეთი სურათი და განწყობილება გადმოცემულია ი. ევდოშვილის სხვა ლექსებშიც, რაც უსათუოდ დამახასიათებელია მისთვის, როგორც საბავშვო მწერლისათვის. ევდოშვილის მიზანია ასახოს მხიარული ბუნების ფონზე ბავშვის უღარდებლობა და ლაღობა. მისი ბავშვებზე მერცხლებივით ცოცხალი ბავშვებია, რომელთა ცელქობას, ეშმაკობას ის თითქმის არსად არ გმობს, არ კიცხავს; პირიქით, მათ შოკებდებს ბუნების მოვლენებთან აკავშირებს და ამართლებს.

ი. ევდოშვილმა გაიარა ცხოვრების მწარე გაცვეთილები. მან ერთ დროს გაბედულად აიპაღმნა თვითმყრობილობის წინააღმდეგ, რისთვისაც თვითმყრობელობამ დასაჯა იგი, გადაასახლდ შორეულ ციმბირში, სადაც პოეტმა მიიღო უჭურნებელი სენი — ჭლექი და უდროოდ გამოეცალა სიცოცხლეს. ის გარდაიცვალა 1916 წელს.

ქართულ საბავშვო ლიტერატურას ი. ევდოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან დარჩა მრავალი შესანიშნავი ლექსი და მოთხრობა, რომელთა შესწავლა აუცილებელია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ბედნიერი ბავშვებისათვის.

# კან მინდა კაცო?

## 3. მინაკომსკი

მ. გიგოლაშვილი

მიღის წლები, შევიქნები  
მე ჩვიდმეტის მალე.  
ნეტავ მაშინ ვინ ვიქნები,  
რა ვაკეთო ხვალე?!

საჭიროა, მე არ ვესუმრობ,  
დურგალი და ხურო.  
ავეჯების დამზადებას  
მოდი და უყუროთ.



დურგლობა ხომ კარგი არი  
ინჟინრობა უკეთესი,  
არ ვიქნები დარდიანი  
რომ ვიცოდე მისი წესი.

ჯერ დავხაზავ გეგმას წმინდად,  
ისეთ ბინას როგორც მინდა.  
ნუ გონიათ ეს იდეალი,  
რომ დახატო კარგი სახლი  
ლამაზი და ფან ნამდვილი.

ეს წინიდან გაუკეთოთ,  
და წინამო ჰქვია ამას,  
მერე კარი გამოვეკეთოთ  
და ვურჩენით შემდეგ მამას.

აი გეგმაც, ის მზად არის:  
სამუშაოც ბევრი არი  
თუნდ მოვიდეს მუშის ჯარი,  
სამუშაო კიდევ არი.

აქ ხარაჩო, იქ, ხარაჩო  
სახლს მოედვა როგორც ჩარჩო.  
თუ გაჰირდა სადმე საქმე  
იქ მანქანას დგამენ ნაქებს:

მიაქვს მაღლა ძელი მორი,  
მერე ქვევით ისევ მორბის.

მიაქვს ქვევით, და აგურიც  
ლუმელბში ვანახური.  
დაახურეს კედლებს რკინა,  
მოათავეს სახლი, ბინა,

კარგი სახლი, დიდი სახლი,  
უკავია ოთხი ქუჩა,  
და ცხოვრობენ აქ ბავშვები  
თავისუფლად, თბილად, ყურხად.

ინჟინრობა კარგი არი  
ექიმობა უკეთესი,  
არ ვიქნები დარდიანი  
თუ ვისწავლე ექიმთ წესი.

თუ შეესო ვინმეს ნემსი  
კანს გაუჭრი ამოულღებ,  
რა იქნება უკეთესი?  
ენახავ თინას, ენახავ შანშეს.  
გამარჯობა—ვეტყვი ბავშვებს,  
როგორა ხართ? ვის რა ტკივა?  
ჩვენი ლალა რატომ ჰკივა!

როცა მივალ სადარბაზოდ,  
მივცემ ბავშვებს სიცხის საზომს  
—ილლიაში ჩაღე ნინო,  
ცოტა უნდა მოითმინო.  
შენ, პატარავ ჩემი ფხვნილი  
გადაყლაპე როგორც თხილი.

სვი წამალი ცოტა-ცოტა  
რატომ გვიპირს ამის ცოდნა.  
მერე ვეტყვი ლამაზ ვარდენს;  
თუ არ დალევ წამალს ანდენს,  
არ დაიდებს კომპრესს უცებ,  
მაშინ ძმაო, ქორწილამდე  
ვერ მოვარჩენ მაგ შენ ზუცელს.



ეჭიმი ხომ კარგი არი,  
მუშა კიდევ უკეთესი.  
არ ვიქნები დარდიანი,  
რომ ვიცოდე მუშის წესი.



ჰა საყვირი ამბობს: მოდით,  
აღის მისი ხმები ცაში,  
უცებ ვტოვებთ ყველა ლოვანს  
და მივრბივართ ქარხანაში.



ანგარიში აგერევა  
იმდენი ვართ, ასჯერ ასი,  
რასაც ერთი ვერ ერევა  
მას აკეთებს ჩენი დასი.

და თუნუქის, რკინის ფურცელს  
მაკრატელით სწრაფად დავუკრით,  
მერე ტვირთებს ავწვეთ უცებ  
მანქანისთვის ეს აღარ ჭირს.

მერე ორთქლის დიდი ურო  
რელსებს ღუნავს, თითქოს ხუმრობს.  
იმუშაოს ყველამ საჭიროა ყველა  
მე ვთვლი ქანჩებს,  
შენ კი საქებს.  
მერე ერთად მოკლე დროში,  
მიღის შემკრებ საამქროში.

და თვითელ მცირე საგანს  
მიუჩინენ თავის ალაგს.  
აგერ კვამლი, აგერ ალი.  
აქეთ გრგვინვა, იქით გმინვა.

ორთქმავალი აქ მზად არი,  
რომ თქვენ  
და ჩვენ  
როცა დაქშენს  
მოგვატაროს მთა და ბარი.

ქარხანაში ხომ კარგია  
მფრინაობა უკეთესი.  
არ ვიქნები დარდიანი,  
რომ მასწავლა მფრინავთ წესი.

ჩავასხამდი ბენზინს ბაკში,  
მოვმართავდი პროპელტორსა,  
ვიქნებოდი მაღლა ცაში  
მივბაძავდი პეპელესა.

არ მაშინებს როცა ცვივა  
ციდან სეტყვა ანდა წვიმა.  
მე ვეწვევი მაღალ ღორბუელს,  
მე გაუხსნი იმას უბეს.

გავფრინდები თეთრი მტრედი,  
უნდა ვცადო ზღვაზე ბედი.  
და ამ მაგარ რკინის ფრთებით,  
უნდა ვნახო დიდი მთები.

ჰე მოტორო, წადი ცამდი,  
მივწვდეთ ვარსკვლავს, ნათელ მთვარეს,  
ვნახო ზეცის არე-მარე.  
თუმცა მთვარის ალბად გზები  
უნდა იყოს მეტად გრძელი.

მფრინავი ხომ კარგი არი,  
მეზღვასური უკეთესი,  
წითელ ფლოტში წავიდოდი  
რომ ვიცოდე მათი წესი.

ჭულს მიმშვენიებს ლენტის ფრთები  
მაკერია ღუზა ნიშნად.  
მსურს გადავჭრა ტალღის მთები  
დაუმონო ზღვები ნიჩაბს.  
ტალღებს ტყვილა მიაქანებ,  
მაშინებდა ეს მე წინად.  
ახლა თოკზე და ბაქანზე  
გადავიბუნ როგორც მინდა...  
ქარო დადექ, რაღას სცდებო  
შეგვაწუხა შენმა კენესამ,  
სამხრეთ პოლუს ჩვენ მივწვდებოთ  
უსათუოდ, ჩრდილოეთსაც!



როს გადაშლი წიგნებს ნაქებს  
დაისხამე ერთი მუდამ:  
კარგი არი ყველა საქმე  
ის ირჩე რაც გულს უნდა.

თარგმნა მიქელ პატარიძემ.

# ვადოღია კოკინაჲის გაუჩინა სჭრაჲოსუაჲაჲი

(დასასრული)

## ტამნიკოსი

### სარამორღო აჲრინა სარტულმაჲით

როგორც ვიცით ვალოღიამ, იბრძოლა რა ამხ. სტალინის დავალების შესასრულებლად, თანდათანობით მიადღწია 10.000 მეტრის სიმაღლეზე აფერენას, მაგრამ ეს არ იყო სარეკორდო სიმაღლე. საჭირო იყო მეტრის მიღწევა. და აი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიადღწია სარეკორდო სიმაღლეს. მოუსმინოთ თვით ვალოღია კოკინას:

„როგორც კი მივალწიე 10.000 მეტრს, მყისვე უკან ვებრუნდები. მეორეთ აფერინდები იმავე სიმაღლეზე და ვრჩები უკვე 10—15 წუთი. ეს დამოკიდებულია ორგანიზმის მდგომარეობაზე. მე თვით ვსაზღვრავდი, ღირს თუ არა უფრო ზევით აფერენა. აფერინდი 11.000 მეტრზე და ამ სიმაღლეზე 2 საათი გაეჩერდი. ამ დროს ევსიეემა დაამყარა საკავშირო რეკორდი. აფერინდა 12.200 მეტრი, მე კი 11.800 მეტრზე, მაგრამ მე არ ვჩქარობდი. 11.000 მეტრზე 2 საათი გაეჩერდი, შემდეგ ავძეერი 800—1000 მეტრით ზედა სართულში.“

ასე ნელნელა, სართულგრივად მივალწიე ზევით და ზევით. 20 ნოემბერს 13.000 მეტრს მივალწიე. ჩემი გეგმის მიხედვით, შემდეგი გაფერინისას უნდა აესულიყავი 13700—13800 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ მეტეოროლოგიურ სადღურის ცნობით მოსალოდნელი იყო ცუდი ამინდი: ნალექი, თოვლი. ამან ერთგვარად ამჩქარა. 21 ნოემბერს დილით გამოშვდი და კარგად ვიგრძენი თავი. გადავწყვიტე დამერღვია გეგმა და აესულიყავი ზღრულ სიმაღლეზე.

წინასწარ გავითვალისწინე რა, რომ შედეგები მეტად საინტერესო იქნებოდა, მოვიზიხოვე კომისია საზომი ხელსაწყოების შესამოწმებლად. წინათ დავფერინავდი ამ ზომის გარეშე, მაგრამ ახლა ეს საჭიროდ მივიჩნიე—სარეკორდო აფერენა სათანადო საკანტროლო ხელსაწყოებით.

ყველაფერი მზათ იყო. ჩავეკექი მანქანაში და გავეფერინე. მივფერინავდი საფეხურებით, ფერენა 1 საათსა და 2 წუთს გაგრძელდა. მივალწიე მაქსიმუმს, შევეცადე კიდევ ზევით ასვლას, მაგრამ თვითმფრინავი აღარ შემორჩილება. ზევით ასვლაზე უარი ვანაცხადა: უკან ვარდებოდა, ვცადე ყველაფერი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ დროს შევხედე ცას და მიწას. სწავლული ადამიანები ამბობენ, რომ ასეთ სიმაღლეზე დღისით შეიძლება ვარსკვლავების დანახვა. მე კი ვერ დავინახე. ცა რადენიმედ უფრო

შავი ფერისა იყო, ვიდრე ეს მიწიდან ჩანს. ძირს დავინახე მოსკოვი, ქუჩები, კვარტალების პატარა კვადრატები და მეტი არაფერი.

მე მივალწიე 14.575 მეტრის სიმაღლეს. ფიზიკურად მძლავრი ადამიანი ვარ, კარგად ნაწრითობი. დიდი სიმაღლეზე ასულ მფრინავთა შორისაც კი, რომელთა რაოდენობა განსაზღვრულია, მე გამონაკლისს შევადგენ და ექიმებიც ფიჭობენ, რომ მე მივალწიე აბსოლუტურ პერს, რომელსაც კი შეიძლება ადამიანმა მიადღწიოს. მფრინავი დონატი, რომელმაც ჩემამდის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, უკან დაბრუნებისას უგრძნობლად მოდიოდა და გონება მოიკრება მხოლოდ 5000 მეტრზე ჩამოსვლისას, ჩამოვშვა მიწაზე, გამოვიდა თვითმფრინავიდან და როცა გაიგო, რომ მიზანს მიადღწია, გონება კვლავ დაკარგა. ეს ოფიციალური მონაცემებია. ხოლო იმათი გადმოცემით, ვინც დონატო მიიღეს მიწაზე, დონატო უგრძნობელი გამოიყავის მანქანიდან, მას არაფერი ახსოვს.“

## მომავალი გაჲრინა

ვალოღია ფიჭობს, რომ შეიძლება თვითმფრინავი კიდევ ზევით ავიდეს, მაგრამ უფრო უკეთესათ უნდა იყოს მოწყობილი მანქანაც და მფრინავიც. იმ სიმაღლეზე წყლის დუღილის ტემპერატურა 50 გრადუსს უდრის, ხოლო ადამიანის სხეულის ტემპერატურა, როგორც ცნობილია 37 გრადუსია. მაშასადამე, სისხლის დუღილის წერტილამდე პატარა განსხვავებაა. 19000 მეტრის სიმაღლეზე ადამიანის სისხლი დუღდება. ადამიანის სისხლის ხელსაწყოები ვერ გაუძლებენ წნევას ამ სიმაღლეზე. ვალოღია 14575 მეტრის სიმაღლეზე იყო და კინაღამ სისხლისმკავი ორგანოები არ დაუსკდა.

გაფერენა დახურული კაბინით უფრო ადვილია და მოსახერხებელი. „დახურული კაბინით ან სკაფანდრით-როგორც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ მინც ვიბრძოდებთ სიმაღლის დასაპყრობად.“

სიმორის რეკორდი დაამყარა მ. მ. გ. რ. მ. ო. მ. ე. ა. სიმაღლის რეკორდი მე დავამყარე. საქმე ახლა სისწრაფეზეა. ამგვარად ამხანაგ სტალინის დავალების ორი მესამედი შესრულებულია, დარჩა უკანასკნელი ერთი მესამედი“. ბელადის დავალების ერთი მესამედიც შესრულებდა, რადგან არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

# პეჭრიკა და პეჭრიკედა

(თარგმნა გრიმიდან, ნ. ლ—ძემ)



ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი კაცი. ორსავე პეტრე ერქვა, მაგრამ ერთს ოთხი ცხენი ჰყავდა და მეორეს კი ერთი. ერთმანეთში გასარჩევათ სოფლები ოთხი ცხენის პატრონს პეტრიკას უძახოდნენ და ერთისას—პეტრიკელას.

ახლა ყური დამივლეთ, თუ რა მოუვიდათ პეტრიკას და პეტრიკელას; ზღაპარი ნუკი გგონიათ, ნამდვილია. მიივლი კვირა პეტრიკელა უხნავდა ყანას პეტრიკას და ახმარებდა თავის ერთად ერთ ცხენს. პეტრიკაც, რასაკვირველია, უხდიდა მაგიერს და ათხოვებდა თავის ოთხსავე ცხენს, მაგრამ კვირაში ერთხელ ისიც სწორედ კვირა დღეს.

ა-პა-პა-პა, რა მოხდენით უქნევდა პეტრიკელა შოლტს გაბმულ ხუთიუღს ამ კვირა დღეს. ცხრა-თვალა მზეს ვაპქონდა ბრჭყალი, ეკლესიის ყველა ზარს გაუდიოდა გუგუნნი, დართულ-დაკაშული სოფლები მიდიოდნენ ქადაგების მოსამენად, ჩვენი პეტრიკელა მზიარულად ერეკებოდა ცხენებს და ვაპქიოდა: ჰეი, თქვენი ჰირიმე, თქვენი, ჩემო ცხენებო!

— მაგის თქმა რა საკადრისია, — იწყინა რამდენჯერმე პეტრიკამ: — ჩემოო, რად ამბობ, შენი ხომ ერთია და ერთი!

მაგრამ თქვენც არ მომიკვდით, პეტრიკელამ თავისი ვერ მოიშალა, მალე ივიწყებდა პეტრიკას დარიგებას და შესძახებდა თავისებურად: ჰეი, თქვენი ჰირიმე, თქვენი, ჩემო ცხენებო!

— შენ, გყურება, — უთხრა ბოლოს პეტრიკამ — იცოდე, გულდაგულ გეუბნები, მაგას ნულარ გამაგონებ; თუ კიდევ წააცდენია, ერთს ისეთს ვთხლებ მავ შენს ცხენს თავში, რომ სული გავაცხებინო. წაიდი მერე და უყარე კაკალი!

— არა, ბატონო, მეტს აღარ ვიტყვი, — მიუგო პეტრიკელამ... მაგრამ ჩაუარეს თუ არა გვერდით ნაცნობებმა და უთხრეს გამარჯობაო, იფიქრა ბულ-ბო, ესენი უთუოდ იმის ცქერით ტკბებიან, თუ მე როგორც ვხნავ ჩემს ყანასო, და ამ ფიქრმა ისეთ-ნაირად ააშა, რომ ვახარებულმა გაატლამუნა შოლტი და შესძახა: ჰეი, თქვენი ჰირიმე, თქვენი, ჩემო ცხენებო!

ამ მე შენ ვიჩვენებ შენს ცხენებს! — წამოიძახა პეტრიკამ, წაავლო უშველებელ კეტს ხელი და ერთი ისეთი დაპკრა პეტრიკელას ცხენს შუბლში, რომ იქვე სული გაავადღებინა.

— ვაიმე, დედა ახლა ერთი ცხენიც აღარ გამაჩნია! თქვა პეტრიკელამ და მორთო ტირილი, მაგრამ რაღას უშველიდა?

მოიწმინდა ცრემლები, გაატყავა ცხენი, გაახშო ტყავი, ჩადვა ტომარაში, აიკიდა მხარზე და გასწია ქალაქისკენ ტყავის გასაყიდად.



ძალიან შორი გზა ჰქონდა პეტრიკელას გასაყელ-ლი; ერთ დიდ დაბურულ ტყეში რომ მიდიოდა, ქარიშხალი წამოეწია. დადნას საწყალს გზა და, სანამ გზას გაიგებდა, შებინდა კიდევც. ნახა, რომ დამისთვის ველარც შინ დაბრუნებას მოასწრებდა და ველარც ქალაქში მისვლას ტყეში უნდა ეძია ბინა.

ზედ გზის პირად იღვა ერთი დიდი სახლი, ფანჯრების დარაბა მოხურული იყო, მაგრამ სინათლის შუქი მაინც გამოდებდა შიგნიდან. აქ უსათუოდ გამათევიებნენ ღამესო, იფიქრა პეტრიკელამ და დაუკაქუნა კარებზე.

ღისახლისმა გაუღო კარები, მაგრამ, ვაიგონა თუ არა სათხოვარი, უთხრა: გირჩევნია ისევ შენს გზას გაუდგე, ქმარი შინ არა მყავს და უიმისოდ, ნურას უყავრავად, სახლში უტხოს ვერავის შეუშვებო.

— მაშ კარში გამითევია ღამე და ეს არისო, — თქვა პეტრიკელამ. მაგრამ დედაკაცმა აღარ ათხოვა ყური და ცხვირწინ მიუხურა კარი.

იქვე, სახლთან, იღვა თივის დიდი ზეინი. ამ სახლსა და ზეინს შუა გაკეთებული იყო ჩალით დახურული პატარა ფარდული.

აი, იქ, ზეით მოვეწყობიო, — იფიქრა პეტრიკელამ ძალიან—ქვეშაგებია, შენმა მშემ. წერო ხომ არ ჩამოფრინდება და მიკბენს ფეხებზე... წერო იმიტომ ახსენა, რომ სახლისთაგან ბუდე გაეკეთებია და იქ იხდა ცალფეხა წერო.

შეძრა ჩვენი პეტრიკელა ფარდულის თავზე, დაწვა და მოთავსდა, როგორც კი ეხერხებოდა.

რადგანაც დარაბა ზევით კარვად ვერ ხურავდა ფანჯარას, პეტრიკელას შეეძლო ყველადერი დენ-ნახა, რაც კი შიგ სახლში ხდებოდა. იქ კი გაშლილი იყო ჩინებური სუფრა, ელაგა ღვინო, მწვადები და თევზი. სუფრას მოსხდომოდნენ ქალი და იქაური მხათი. მასანძმელი თავაზით აწვდიდა ღვინოს; მაგრამ მნათი გამწარებები აჩანავდა თევზს; თურმე ძალიან ჰყვარებია თევზი იმ შეჩვენებულს.

აი, ნეტავი მეც მანდ დამსვიაო, — იფიქრა პეტრიკელამ და კიდევ უფრო მიიწია ფანჯრისკენ... დე-

დაე. ხაჭაპურები... ნახა ხაჭაპურები და მერე რა ხა-  
ჭაპურების ლხინი იყო, ნამდვილა ლხინი.

შუკებ მოისმა (ცხენის ფეხის ხმა და ვიღაც ჩამოხ-  
ტა სახლთან. თურმე ქმარი დაბრუნებულიყო შინ.  
სახლის პატრონი ძალიან კაი კაცი იყო, მაგრამ ერ-  
თი ახირებული ზნე სჭირდა: თვალის დასანახავად  
სძავდა ყველა მნათე და დიაკონი. მათ დანახავზე  
ბრაზი ეღებოდა. უთუოდ ის იყო მიზეზი, რომ მნა-  
თეს სწორედ მაშინ ეშოვნა და სწევოდა ცოლს  
სტუმრად, როცა ქმარი შინ არ ევლებოდა. ცო-  
ლიც ალბათ იმავე მიზეზით გამასპინძლებოდა ასე  
უხვად თავის სტუმარს და მიერთშია ყველაფერი,  
რაც კი რამ საუკეთესო ჰქონდა.



რომ მოკრეს ყური ქმრის ფეხის ხმას, თქვენს  
მტერს სცემია, იმათ ელდა ეცათ. არიქა, ჩაძვერი  
მალე ამ დიდ სკივრშიო,—შეხვეწა ქალი. იკადრა  
მნათემ ცარიელ სკივრში ჩაძვრომა, რადგანაც კარ-  
გად იცოდა, ქმარს ყველა მნათე ეხარებოდა. ცოლ-  
მა საჩქაროდ მიშალა ბუხარში ღვინო და ყველა  
საქმელი, რადგან იცოდა, რომ, ქმარმა თუ ნახა, მა-  
შინვე იკითხავს: ქალო, ეს რა ამბავია, რა ნადიმი  
გაქვს დღესაო?

„ვიამე“—ამო კვენესა პეტრიკელამ, რომ გადაიხე-  
და და აღარსად იყო საქმელები.—ვიინა ხარ მანდ  
—იკითხა სახლის პატრონმა, აიხედა მალა და დი-  
ნახა პეტრიკელა. „მანდ რას წამოწოლილხარ, შინ  
წამოხვიდე ის არა სჯობია?“ პეტრიკელა ჩამოვიდა  
ძირს, უთხრა გზა დამებნაო და სთხოვა ღამე გამა-  
თეინეო.

„ვიამე, კაცო, რაღა ხეწნა უნდა, გაათიეო,  
უთხრა მასპინძელმა, მაგრამ ჯერ სტომაქის ვამაგრე-  
ბაა საჭირო. ქალი მზიარულად შეეგება ახალ მო-  
სულტებს, გაშალა სულფა და მოარბევა ერთი დიდი-  
ჯამი ფაფა. ნამზავარი და დამშეული ქმარი მადიან-  
დად შეეკაფა ფაფას, მაგრამ პეტრიკელას ვერაფრად  
ეკაშნიკა ფეხის მიერთვევა და სულ ბუხარში შენა-  
ხული მწვადი და ხაჭაპურები აგონდებოდა. თავისი  
ტომარა, სადაც ცხენის ტყავი ჰქონდა გამოკრული,  
ფეხ ქვეშ ეგოდა, პეტრიკელა გაჯავრებით შეინძრა.  
—რა არის ცალიერი ფაფით რომ მიმასპინძლდე-  
ბიანო,—და წაპჭრა ფეხი ტომარას. გამხმარმა ტყა-  
ვა მა პრიკინი შექნა.

„სუ“—მიუბრუნდა პეტრიკელა ტომარას, მაგრამ  
ფარულად ისეც დააპირა ფეხი ტყავს და უარესი  
პრიკინი დააწყებინა.

—რა გაქვს ხურჯინში, რა ამბავია?—ჰკითხა  
გლგებმა.

აქ ბატონო, ჯადოქარი მყავს დამწყვედეულიო,  
თქვა პეტრიკელამ.—და მუუბნება, ფაფა რა საქმე-  
ლია, როცა მე თქვენთვის მთელი ბუხარი სულ მწვა-  
დით, თევზით და ხაჭაპურებით გამოვტყენო.

—სასწაულია, თქვენ რე მომიკვდეთ! წამოიძი-  
ხა მასპინძელმა, შეიხედა ბუხარში და ნახა ყველა  
ის საქმელი, რაც მისმა ცოლმა დამალა. ცოლს ერ-

თი კრინტიც არ დაუძრავს, იმ წამსვე დააწყო ყვე-  
ლაფერი სუფრაზე. მწვადიც, შენ ხარ ჩემი ბატონი,  
თეხვიცა და ხაჭაპურებიც. პეტრიკელამ და სახლის  
პატრონმა მიირთვეს. ცოტა ხანს უკან პეტრიკელამ  
დააპირა ფეხი ტომარას, და ისეც შექნა ტყავმა  
პრიკინი.

—ახლა რაღას ამბობს?—იკითხა მასპინძელმა.  
იმას მოგახსენებს, რომ თქვენთვის მზადა მაქვს  
კიდევ სამი ბოთლი ღვინოო: აი, იქ, ბუხარის ყურე-  
შიაო. მეტი რა გზა იყო, ღვინოც მოატანინეს ქალს.  
დაღია ქმარმა და გამზიარულდა... ძალიან მოეწო-  
ნა ჯადოქარი, რომელიც პეტრიკელას უჯდა ტო-  
მარში.

—ემშაკს ვერ გამოიხმობსო?—იკითხა სახლის  
პატრონმა.—ხელა ისეთ მზიარულ გუნებაზე ვარ, რომ  
ძალიან გულთი მიდა ემშაკის ნახვაო.

—დაილაც გამოიხმობსო,—უპასუხა პეტრიკელამ:  
ჩემს ჯადოქარს ყველაფერი შეუძლია, რასაც მინდა,  
იმას ვაქნეინებო. მართალს ვამბობ თუ არა?—და-  
უმბატა მან და წაპჭრა ფეხი ტომარას. ბატონი ბრძან-  
დებით, მაგრამ ემშაკი ისეთი უტლი სანახავია, რომ  
სჯობია ნულარ შეხედავით.

—ემშაკის რას მენიდა, რა სახისაა?

—პირწავარდნილი მნათეა, ბატონო.

—ფუ, რა საძაგლობა ყოფილა... უნდა მოგახ-  
სენო, რომ ეამივით მძულს ყველა მნათე, მაგრამ  
სულ ერთია: რაკი მეცოდინება, რომ ემშაკია, ისე  
აღარ შეგეზობება. ამა ერთი მაჩვენოს, ახლოს კი  
ნუ მომეკარება.

—მამ მოითმინე. დავეკითხები ჩემს ჯადოქარსო,  
თქვა პეტრიკელამ, დააპირა ფეხი ტომარას და ისე-  
თი სახე მიიღო, თითქო ყურს უგდებსო.

—რაო, რას ამბობ?

—იმას, რომ, ემშაკის ნახვა თუ გინდათ, ეგერი ყუ-  
რეში სკივრი დგას, თავი ახადეთ და ნახავით, მაგ-  
რამ თავსახურავს კი მაგრად მოსკიდეთ ხელი, რომ  
არ წავივლიდეთო.

—მომეზმარეთ, ერთი თქვენი ჰირიმი, თქვა მას-  
პინძელმა და წვიდა სკივრისაკენ, სადაც დამალუ-  
ლი ჰყავდა მის ცოლს მნათე,  
მნათე იჯდა და შიშისგან კანკალებდა.



მასპინძელმა ახლა ცოტათი სკივრს თავი, შეიხედა შიგ და შეშინებულმა დაიხია უკან. „უიმი“ ვნახე, ვნახე, ჩვენი მნათე. ბატონო გამოსახული ჩვენი მნათე! გააკავალე, გამჩენო, რა არის?!

ახლა კი იყო საჭირო დაღვევა და სვეს კიდეც გათენებამდის.

— უნდა მომიყილო შენი ჯადოქარი, თქვა მასპინძელმა. რაც გინდა მთხოვე, ერთ ზომა ფულს მოგცემ.

— არა როგორ იქნება, — უპასუხა პეტრიკელმა. შენ-მარტო ის იფიქრე, თუ რამდენი სარგებლობა შეუძლია მოგიტანოს.

— ოხ, რა გულით, მინდა რომ მომცემდე, — თქვა მასპინძელმა და დაქინებით დაუწყო მუდარა: მომიყიდეო.

— აბა მაშ, — თქვა ბოლოს პეტრიკელმა, — შენი ხათრისთვის, რადგან ღამე გამოთევირე, გყავდეს ჩემი ჯადოქარი, სამაგიეროდ მომიციე ერთი ჩანახი ფული; სულ პირამდის სავეს უნდა იყოს, იცოდე.

— ეხლავე, ამწუთსავე, — თქვა მასპინძელმა, — მაგრამ ეს სკივრიც თან წაიღე, ერთი წამიც აღარ მინდა სახლში მაგის დაყენება; რა ვიცი, — ეგება ეხლაც შიგა ზის წყეულთ.

პეტრიკელმა მისცა თავისი ტომარა და მიიღო პირამდის ავესებული ჩანახი ფული. ამას გარდა მასპინძელმა პატარა ურემიც უთავაზა, რომ შესძლებოდა სკივრის და ფულის წაღება.

შევიღობით თქვა პეტრიკელმა და წაიღო თან ფული და სკივრი, სადაც იჯდა მნათე.

ტყის იქითა მხარეს ჩაუღიოდა დიდი და ღრმა მდინარე; წყალი ისეთი ჩქარი იყო, რომ ფონს ვერ გააგონებდით მდინარეზე; ხიდი ახლად გადებული იყო. პეტრიკელა შეჩერდა ხილზე და ძალიან ხმა-მალა თქვა, ისე რომ გაეგონებინა მნათესთვის:

— რა ჯანაბა ვუყო ამ დასაქცევ სკივრს, ისეთი მძიმე ყოფილა, თითქოს ქვევით გაუტენიათო; ვადამიტანა მაგის თრევამ... მოდი, წყალში ვადავაგდე. თუ თვითონ ჩამოატანა ჩემსას, ხომ კარგი, თუ არა და არც იმას ვიჯავრებო.

თქვა და ასწია სკივრი, თითქო წყალში გადაგდებს უპირებსო.

— მაცა, მაცა! — და დაიძახა მნათემ სკივრში — ჯერ მე გამომიშვი.

— უიმი, დაიძახა პეტრიკელმა, ვითომდა შეშინებული ყოფილიყოს... — ჯერ კიდეც აქა ზის. ერთი მთელი ვადავაგდო წყალში, რომ დაიხრჩოს.

— არ დამოუბო მოიცადე! — კიოდა მნათე, — გამო-წიშვი და ერთ ჩანახ ფულს მოგცემ სამაგიეროთო.

— ჰო, ეს სულ სხვა საქმეა, — თქვა პეტრიკელმა და ახლა სკივრს თავი.

მნათე საჩქაროდ გამოსვრა, ჰკრა წიხლი სკივრის და წყალში ვადავაგდო, პეტრიკელა შინ წაიქვანა და ერთი ჩანახი ფული ჩაუხჩრიალა. ყველაფერი ტრიკელას ურემი სულ ფულით აიხსრამა. მისი სკივრი

— ცუდად არ გამოიყიდა ჩემა ცხენი, — ამბობდა თავის გუნებაში პეტრიკელა, როცა ისევ თავის ქობში მივიდა და ფულის მთელი ზენი დადგა. ვაბრაზდებდა პეტრიკა. რომ გაიგებს, თუ როგორ გავმლიდრდა ჩემი ერთადერთი ცხენს წყალობით. მაგრამ მე არ ვეტყვი მართალს.

პეტრიკელამ პეტრიკას ბიჭი გაუგზავნა ხორბლის სარწყავი ჩანახის სათხოვრად.

— ნეტა ჩანახი რად უნდა? — იფიქრა პეტრიკამ და კუპრით ამოსევრა ჩანახის ძირი, რომ მისწებებოდა ის, რასაც დაწყავდა პეტრიკელა. აგრეც მოხდა: უკან რომ მიიღო ჩანახი, სამი ვერცხლის ფული მიჰკროდა ფსკერზე.

— ეს რა ამბავიაო? — თქვა პეტრიკამ და იმწამსვე გავარდა პეტრიკელასთან.

— სად გიშონია ამდენი ფული?

— ჩემი ცხენის ტყავში ავიღე, გუშინდამ გავყიდე, — უპასუხა პეტრიკელამ.

— ძალიან გავყიდილა, — თქვა პეტრიკამ, საჩქაროდ გაიქცა შინ, აიღო ნაჯახი, წააგდებინა თავი ოთხივე თავის ცხენს, გაატყავდა და წაიღო ქალაქში.

— ტყავები ვის უნდა, ვასაყიდი ტყავები! — დადლოდა ქუჩა-ქუჩა და ყვიროდა პეტრიკა. თუ სადმე ხარაზი და მეტყავე იყო, სულ მას შემოეხვია ვარს და ევითხებოდნენ, რამდენი გრნდა მაგ ტყავებშიო.



— თითოში თითო დიდი ჩანახი ფული! — ეუბნებოდა პეტრიკა.

— ტყაზე ხომ არ შეშლილხარ, ადამიანო! იხახდა ყველა — ან იქნებ გგონია, რომ ფულები, ჩანახობითა გვაქვს! — ტყავეები, ტყავეები, ვის უნდა გასაყიდი ტყავეები! — ყვიროდა პეტრიკელა და ვინც კი იკითხავდა ფასს, უტყველად უპასუხებდა; თითოში თითო დიდი ჩანახი ფულიო.

გვასულელებსო, — ერთხმად აყვირდა ყველა და ხა-

რაზემე მოავლეს ხელი ღვედებს, დაბალებმა თავიკ ტყავის წინაფარს და დაუწყეს პეტრიკის ხეობაში.

— ტყავეები ტყავეები! — დასცინოვნით ისინი, ისეთიარად დაგიხელთ მაგ შენს ტყავს. რომ წითლად ჩამოგდიოდეს ღვარი, გაეთრიე ქალაქიდან! — პეტრიკა ვარბოდა რაც ძალა და ღონე შესწევდა. ამისთანა კისრის მტვრევა ჯერ არ გამოცედა.

„მაკაცოს ყველაფერს პეტრიკელას ვაზღვევინებ, მოვკლავ“... — ამბობდა პეტრიკა, როცა შინ მიღწია.



## თ. ბალიაშვილი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანაში ჩანახა და ვანეთარდა ახალი სახის თეატრი. ეს არის ეგრეთწოდებული „თოჯინების თეატრი“. თოჯინების თეატრს დიდი ისტორია აქვს. ყველაზე უფრო ამ სახის თეატრი გავრცელებულია ჩინეთსა და იაპონიაში და იქიდანაა შემოსული რუსეთში ძველებური „პეტრუშკას“ სახით. თანამედროვე ევროპაში ძალიან გავრცელებულია ამ სახის თეატრები. მაგალითად, მარტო პრაგაში (ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი) ოთხასზე მეტი თოჯინების თეატრია.

ნამდვილი, მხატვრული დასრულებული თოჯინების თეატრი ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ ჩამოყალიბდა, ამჟამად საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში არსებობს თოჯინების სახელმწიფო თეატრები. ტფილისშიც არის თოჯინების და ლანდების თეატრი, რომელიც მარტოვე წარმოდგენებს სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და კერებში. თოჯინების ან ლანდების თეატრის მოწყობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და ყოველ სკოლას ან პირველკლასიანებს შეუძლია ჩამოაყალიბოს ასეთი თეატრი და პატარა დრამა.

თოჯინების თეატრებისათვის საჭიროა ჩვეულებრივი შირმა, მონაწილეთა სიმალის მიხედვით. შირმის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 1 მეტრსა და 70 სანტიმეტრს. პიესის მიხედვით მზადდება შესაფერი თოჯინები, ან ხისგან გამოითლება (თავი,

ხელები და ფეხები), შეიძლება თიხისაგანაც გაკეთდეს (მარტო თავები, რასაკვირველია). თოჯინებს სათანადო გრძიმი უნდა გაუკეთდეს და ყოველი თოჯინისათვის შეიკვროს შესაფერი ტანსაცმელი. ამგვარი ტიპინა ხელზე ჩამოიკმება. ცერი და შუა თითი უნდა გაუყაროთ, თოჯინას სახელოებში, ხოლო მაჩვენებელი თითით თავს დაიკეროთ, ამგვარად დადგებით შირმის შიგნით და ხელით ათამაშებთ თოჯინას. ლანდების თეატრი კი შემდეგნაირად ეწყობა: შირმაში ეწყობა ეკრანი, დაახლოვებით ერთი მეტრი სიგანისა და 80 სანტიმეტრი სიმაღლის. მუყაოდან გამოიკრება შესაფერი ფიგურები. ეკრანზე მინათებული იქნება ლამაზი (ლამაზი უნდა იღვეს ორი მეტრის დაშორებით ეკრანიდან, უკან) და ეკრანთან მუყაოს ფიგურებს შესაფერისად ვაჭარბებთ. ლანდი რომ მკვეთრი გამოვიდეს, ფიგურები ძალიან ახლო უნდა იყოს ეკრანთან. მუყაოდან შეიძლება მოძრავი ფიგურების გაკეთებაც.

პიესა „დათუნას მოგზაურობა“ დაწერილია თოჯინების თეატრისათვის, მისი წარმოდგენა შეიძლება ლანდებითაც. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, თუ კი კოლექტივი ვერ შესძლებს პიესის მთლიანად გადუმებას, შეიძლება მისი შემოკლება და მწელად განსახორციელებელი მოქმედების შეცვლა სხვა უფრო ადვილი მოქმედებით.

# დათუნას მოგზაურობა



5 სურათად

## მ ო მ მ მ მ დ რ პ ი რ ნ ო

დათუნა—სოფელში ბავშვი, 7-8 წლის ბიჭი

მღვდელი

ელო  
გიგლა  
მიხო  
ნიკო  
1 და მე-2 პიონერი  
ვანო კოლმეურნე.

სოფლის პიონერები

კულაქი  
მურა (დათუნას ძალი)  
ლილა-ხარი  
პიონერები

გიზო  
ილო  
გივი  
1 პიონერი  
1 მუშა (ანუ ქარხანაში)

ქალაქელი პიონერები

მეურნეები  
მუშები  
დემონსტრანტები

## მ ო მ მ მ დ მ ბ პ ი რ ე ლ ი

(სოფლის მოედანი, ერთი მხრივ სკოლა, მეორე მხარეს—სასოფლო საბუკო. მოედანზე გლეხები ურმებზე აწყობენ კობტად შეკრულ ყუთებს, პიონერები გლეხებს ეხმარებიან).

ვანო (შემოდის ყუთით ხელში). ესეც ასე! მგონი მოერჩით საქმეს, ეს ბავშვებიც კარვად გვეხმარებოდნენ.

გიგლა (ურმებზე დგას). ძია ვანო! რა კარგი საჩუქრები მიგვაქვს! ასეთი დიდი და გემრიელი ვაშლები, მგონი არც მთვარეზე გაიზარდოს.

მიხო  
ელო  
ნიკო  
1-ლი და მე-2 პიონ.

(იციინან) პო...პო...  
ხა-ხა—ხა-ხა! ეს რა თქვა!

ვანო—ბიჭო, მთვარეზე ვაშლებს რა უნდა?!

გიგლა—(გულმოსული ბავშვებს), გაჩუმდით! თქვენ ბევრი იცით, არა?

პიონერები—(იციინან)ჰა-ჰა-ჰა-ჰაჰაჰა!

მიხო—მთვარეზე ვაშლები კი არა, ფორთოხალი იზრდება თურმე! (პიონერები-იციინან)

გიგლა (გაბრაზებული). თქვენ ჩემზე მეტი არა იცით რა, ნუ მაჯაგრებთ!

ნიკო—ნუ ცხარობ, თორემ ურმიდან გადავარდები და ქალაქში ვეღარ წახვალ.

ვანო—აბა ჩემო განათლებულო დეღეგატო! ჩამოდი ურმიდან. ნიკო წადი და ხარებს თივა დაუყარე, კარგად დაძღუნ, შორი გზა გვაქვს გასავლელი (იქვე ხის ძირას ჩაჯდება და ისვენებს)

ნიკო და  
1-ლი და მე-2 პიონ. (მიდიან)

ელო (ბავშვებს)—იხე უნდა მოვემზადოთ, რომ ქალაქის პიონერებთან არ შევრცხებით.

ელო  
მიხო (ერთად შექუჩდებიან)

გიგლა  
მიხო—მე მისასალმებელი სიტყვა უკვე დავეწერე და ჩვენმა მასწავლებელმა მომიწონა კიდევ.

გიგლა—არა! ყველას აჯობებს... (განაგრძნობენ ჩუმად ლაპარაკს). გაიგეთ? (ისევ ჩუმად ლაპარაკობენ)

დათუნა—(შემოდის. დოლის მაგიერ დამატრეული მინანქრის ჯამი გადაუკიდებია და ჯოხებით აბრაზუნებს, თან მღერის) დარა-დარა, დამ-დამ...დარა—დარა, დამ—დამ (დაინახავს მოსაუბრე პიონერებს და ჩუმად მიუახლოვდება, უსმენს).

მურა (დათუნას თან დასდევს).

გიგლა—ჯერ ჩვენ საშეფო ქარხანაში მივიყვანს ძია ვანო და იქიდან ქარხნის პიონერებთან ერთად ზეიშში მივიღებ მონაწილეობას.

ელო—თურმე პიონერები ღამე ქინკილებით გამოვლენ.

მიხო—არა, ნილაბებით გამოვლენ.  
ელო (შეხტება, ტანს შემოკრავს). რას არ ვნახავთ! რა ბედნიერები ვართ!

დათუნა (ბავშვებში ჩადგება). სად მიდიხართ?

გიგლა—შენი საქმე არ არის, ხელს ნუ გვიშლი. (ბავშვებს) წამოდი, ახლა პლაკატები დავახვიოთ.

**დათუნა** (წინ გაღადეობება), თუ ქალაქში მიდიხართ, მეც უნდა წამიყვანოთ. შენი ქირიმი, შენ გენაცვალე, მეც წამიყვანეთ!

**ელა** — ჩემო დათუნა, ჯერ შენ პატარა ხარ, ამ ხუთი წლის მერე ოცი წლის თავს რომ ვიღელსწაულებოთ მაშინ კიდევ ჰო!

**დათუნა** — რით ვარ თქვენზე ნაკლები! (გვიღას ხელს ჩაქიდებს). წამიყვანეთ, თორემ...

**გიგლა** — ბიკო, შენ რომ წავიყვანოთ, შუა გზაზე ავკტირდება.

**დათუნა** — შენ თითონ ატირდება! გაჩუმდი, თორემ ახლავე მიწას ვაგმებ.

**ვანო** (ხის ძირს თვლივს).

**ნიკო** (შემოდის თივით, ხარებს უყრის). დათუნა, დედაშენი გეძახის, გასწი ჩქარა.

**გიგლა** — წავიდეთ, ბავშვებო.

**დათუნა** (არ ეშვება). თუ ბიკი ხარ, დამეკიდე და გიჩვენებ სეირს!

**ვანო** — ჩემო დათუნა, ვითომ მოერევი გვიღას?

**დათუნა** — სუფელი დამეკიდეთ, მე თქვენ გიჩვენებ სეირს! (გამოკრავს ფეხს გვიღას და დასცემს)

**ბავშვები და ვანო** { (იციინან ყოჩაღ! ყოჩაღ!

**გიგლა** (გაბრაზებული წამოვარდება და დათუნას სტაცებს ხელს) —

**ვანო** (ბავშვებს მიუახლოვდება). აბა ჰე, რომელი აჯობებთ.

**გიგლა და დათუნა** { (ქილაობენ)

**მურა** — ჰა-ჰამ! (ყვითლ მივარდება და გვიღას კალთაში ეწევა).

**ვანო** — მურა. გადი იქით! ბავშვებო, ცოტა იქით გაიწიეთ, წრე გააკეთეთ, აბა! დათუნა, მარჯვე!

**მიხლო** — მოგვერდი, ბიკო, მოგვერდი გაუკეთეთ.

**ელა მიხლო ნიკო** { (მღერიან) ქილაობას რა უნდა? წამოკიდება უნდა.

**გიგლა** — ჰუ! (დასცემს დათუნას). ესეც შენ!

**დათუნა** — (მარდად წამოხტება). არ არის მართალი! მართალი არ არის!

**გიგლა** — კარგია, ამ წელიწადში ეს გეყოფა (ტანი-სამოს ისწორებს).

**დათუნა** — (არცხრება). ხელ-ახლა დამეკიდოს, ის არ იყო სწორი, ძია ვანო...

**ვანო** — ჩემო დათუნა, დავცემს, მაგრამ მაინც კარგი ქილაობა გეცოდნია, ქალაქიდან აუცილებლად ახალ დოღს წამოგიღებ. (ბავშვებს) ბავშვებო, ახლა წადით და მალე მოემზადეთ, სხეებსაც დაუძახეთ და გზას გაუვლდეთ. (მიდის)

**დათუნა** — ყველას ჩემი ჯიბრი სკირს (ტარის) ჰუ-ჰუ! ქალაქში მეც წამიყვანეთ! (ბავშვებს ეხევივება) არავის არ ვაგაჯაერებო, შენც ხარ ჩემი, წამიყვანეთ! (ფულუკუნებს) ვაჰ! ვაჰ! ვაჰ!

**გიგლა** — ხომ ვითხარი მტირალა ხართო. წავიდეთ (ბავშვები მიდიან)

**დათუნა** (დაჩუმდება და მიმავალ ბავშვებს დიდ ცხვირს აჩვენებს). მე თქვენ გიჩვენებო ოინს! (ჩაფიქრდება) ქალაქში წაუსვლელი არ დავრჩები... მოიცა... ჰე, ბიკოს! (შეხტება, ტაშს შემოკრავს) მოვიგონე (მივა ურემთან), ლილა, წამიყვან ქალაქში?

**მურა** — (უკან დასდევს კულის ქნევით)

**ლილა ხარი** (თივას პამს და კულით ბუზებს იგერიებს). მუუუ!

**დათუნა** (ლილას ხელს დაუსვამს) ლილა შენ არ გამცემ და მე ურემზე დავიმალები. (ფთხობინდება ურემზე).

**დათუნა** (ყუთებს, ათვლიერებს). რა კარგი ვაშლებია! (იღებს ვაშლებს და სუნავს). საგზალიც კარგი მექნება... მაგრამ ვერ ჩავეტყევი... ყუთი საესეა. (შეუწებულად) სწორედ ჩემი ჯიბრი სკირთ, სუყველა ყუთი გაუციათ. უნდა ახალი ყუთი მოვიტანო (ჩამოდის ურემიდან). წამო, მურა, მომეხმარე (მიდინა).

**მურა და დათუნა** { (მოაქვთ ცარიელი ყუთი, მურას ყუთის ცალ ყურზე პირი ჩაუვლია!

**დათუნა** — ჰუ, დავიღალე (ხენწის და თან ყუთს ურემზე დვამს) ესეც ასე (შოისვამს თავზე ხელს) მურა. ქული დამეწყებია, გასწი და ჩემად მომიტანე (აღის ურემზე და ყუთში ძვრება).

**მურა** — (მორბის და თან პირში დათუნას ქული აქვს, უკანა ფეხებზე შედგება, აიმაობება და დათუნას ქულს აწოდებს).

**დათუნა** — (ქულს იხურავს) ო ჩემო კვიციანო მურა, გმადლობთ! ახლა წადი სახლში და არავის აჩვენო, მე თუ აქ ვარ დამალული. (ჩაიმალება ყუთში).

**მურა** (დარბის ურემთან და ყვებს) — ჰამ, ჰამ, ჰამ! ჰამ!

**დათუნა** (თავს ამოყოფს) — დაჩუმდი, მურა! რა გაცევებს, რა გინდა! გაჩუმდი, ვინმე გაიგონებს!

**მურა** — ჰამ, ჰამ! (ურემს გარშემო უვლის, ხან ტორობით ზედ შეადგება).

**დათუნა** — მურა, ჩემთან წამოსვლა ჩინდა?

**მურა** (ჩაჯდება უკანა ფეხებზე და წკმუტუნებს).

**დათუნა** — ვერა, ჩემო მურა, ვერ წამიყვან: შენ რომ გზაში დაიყურო, ხომ მნახეს და უკან დამაბრუნეს! წადი, თორემ სადაც არის ძია ვანოც მოვა (ჩაიმალება ყუთში და სახურავს გადიფარებს).

მურა (კიდევ უფრო ხმაშალა ყვეს)—ჰამ, ჰამი ჰამ, ჰამ!

დათუნა (თავს ამოყოფს, მურას უჯავრდება)—გასწი შე საძაგელო, გინდა რომ გამეცე?

მურა — ჰამ, ჰამ!

ელოს ხმა — ხომ არაფერი დაგვაეციყდა?

დათუნა — არიქა, მოდიან! მოდი ჩქარა, დავიშალოთ!

მურა (ახტება ურემზე და იქიდან ყუთში).

დათუნა — ხმა არ ვაილო, ჩუმიდ იყავი-(ჩაიმაღლებიან, თავზე ყუთის სახურავს წაიფარებს).

მეურმეები

ვანო

ელო

მიხო

გიგლა

ვანო (მეურმეებს)—თქვენ წინ წადით და მე ამ ბავშვებით უკან გამოგვეყვებით (მივა ლილაათან)

მეურმეები (მიყვით ურმები და მიდიან).

(შემოდინან წასასვლელად გამზადებულნი, ბავშვები ჯდებიან იმ ურმის კოფოზე, სადაც დათუნაია დამალული)

ვანო — ხი, მამო, ჰო, ლილაე! აქეთ მოდი. აჰა, ჩვენც წავედით. (მოუძღვება ხარებს წაჩქარებით)

გიგლა

ელო

მიხო

(ხელის ქნევით) მშვიდობით...მშვიდობით...(დაიწყებენ სიმღერას) მოვლივართ, მოვლივართ, რერო-რერო ნანინაა.

გიგლა — დაჩუმდით! ურემზე მაგიდის სიმღერა ვის გაუგონია! ელო დაიწყე ურმული.

ელო — არა, გიგლა, შენ დაიწყე.

გიგლა — ჰარალო, ჰარიალეეე...

ელო და

მიხო

{ ჰოჰ-ჰო (მღერიან) ქალაქში მივალთ ალღუმზევე.

დათუნა — (ამოყოფს თავს ყუთიდან)—ჰეე-ჰეე და ისე უტბად ჩაიმაღება.

ბავშვები — (მოიხედავენ, ვერავის დიანახავენ და ისე მღერიან, ურმები ნელნელა მიიმაღება).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ხეაღეთის და ზღვის ლოკები


## 3. კახიანი

ვინ არ იცნობს ჩვენ ღრუტუნა ღორს, ეზოში დაუღალავად რომ დაჩაჩალებს, სულ მუდამ მიწას რომ დასტკერის, მუდამ ვილაკას და რალაკას ძებნაში რომ არის. ამ უწყენარ ცხოველს გუფულ ტყეებში ყავს თავისი ნათესავი, რომელსაც გარეული ღორი ეწოდება. ზღვების ერთ ცხოველსაც ღორი ეწოდება.


გარეული ღორი სრულიად არ ჰგავს ჩვენ მხდალს დაბეჩავებულს და შეიარაღებულ შინაურ ღორს, დასაკლავად თითქმის თავის ნებით რომ წვება გულშურიცვლოდ. გარეული ღორი მამაცი, კკეიანი,

ღონიერი ბასრი ეშვებით შეიარაღებული არსებაა. ის ფრთხილი, თავდაპირილი ცხოველია, არავის არ ესხმის თავს და ამით თითქოს ამბობს: თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის, დამანებეთ თავი საწყალ ღრუტუნას, არავის არაფერს გრშავებთო, მაგრამ-მიუხედავად ამისა თუ მაინც თავს დაესხმებით, ის მაშინვე მედგრად გამოდის იერიშზე თავისი უფლებების დასაცავად. ბევრი მტერი ყავს მას. მგელი, დათვი, იდამიანი და სხვ. ყველას უყვარს მისი გემრიელი ხორცი, მაგრამ ღორსაც უყვარს თავისი სიცოცხლე და აგრე ადვილად მტერს არ ნებდება. უიარაღოთ აღამიანისთვის მასთან სახიფათოა. იგი თავის ბასრ ეშვებს მარჯვედ ამუშავებს და უმეტეს შემთხვევაში აღამიანს სასიკვდილოდ ჭრის.

ჩვენ ღრუტუნას ადგილსამყოფელოდ ჭაობიანი, ჭანჭუობიანი ადგილები ითვლება. სიციხიან ღდეებში იგი უდარდელად წვება ტალახიან ჭანჭუობში საგორაოდ და სიამესა და შვებას განიცდის. გარეული ღორის საუკეთესო საჭმელია რკო, ნეგოზი, თხილი, ვაშლი და სხვ. კარგად შეეჩვევა მიწის ჭიადლებსაც. გარეულ ღორებს არ უყვართ განმარტოვებული ცხოვრება. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დანიან გაუვალ ტყეებში საზრდოს საოგნელად. სიციხისაგან შეშინებულები რამდენიმე კილომეტრს განდიან წყლის მოსანახავად. გარეული ღორი ჩინებულ



გარეული ღორი



### ზღვის ღორი

მოცურავედ ითვლება, თუ დასჭირდა, ცურვით მშვენიერად შეუძლია 7-8 კილომეტრი სივრცის გადალახვა. მას სრულიად არ აზინებს ქოფაკი ძაღლების გაკაპასებული ყეფა და ღრიანცული. ბაჯბაჯებს; თუ რომელიმე ძაღლი გაბედავს და პირით შეეხება, იგი მყისვე ეშვებით ებგერება თავხედ თავდამსხმელს და იქვეკლავს. გარეული ღორი საოცარ ბრძნულ თავდაცვის ჯგუფი უწარინობას იჩენს, როცა ძაღლების მრავალი ზროვა ესხმის თავს, მან კარგად იცის, რომ უკანა ნაწილი საფეხებით თავდასუცავი აქვს მტრისაგან. ამიტომ გაპირების უკან იგი სწრაფად ძებნის ზურგით მისაყრდნობ ხეს. რაც შეეხება წინა მარჯვენა და მარცხენაზაზარებს, იგი მდგრად და წარმატებითიცავს თავს ძლიერ მჭრელ უშვებით. ასეთ მძიმე შემთხვევაში მას ძლიერ შველის ძაღლების სუსტიზარე. საკმარისია ღორმა მებრძოლ ძაღლებში ერთი დაჭრას და მწუკობრიდან გამოიყვანოს, რომ დანარჩენები წყავწყავით აქეთ-იქით მიიფანტონ. გარეული ღორები ერთობ მრავალდ სახისა არიან. არის ერთგვარი გარეული ღორი, ე. წ. ბაბირუსა, რომელიც ვირის სიმაღლის ოდენაა. ბაბირუსა ჩვეულებრივი გარეული ღორისაგან განსხვავებით ორმაგი ეშვებით არის აღჭურვილი. მას გარეული ღორის მსგავსად არ უყვარს აღმდინთან შეხედრა, მაგრამ თუ შეჯახება აუცილებელი გახდა, უბრძოლველად არ ტოვებს, ბრძოლის ველს.

ერთი ცხოველი, რომელსაც „ზღვის ღორი“ ეწოდება. ამ ზოგელს ზემოდასახელებულ ღორებთან არაფერი აქვს საერთო ვარდა იმისა, რომ ე. წ. ზღვის ღორი ისე „ღორმუცელა“ და მსუნავია, როგორც ჩვენი ნაცნობი ღორები. ზღვის ღორი ვეშაპის მონათესავე ერთგვარი დიდი თევზია. მისი სიგრძე 1-მეტრიდან ზოგჯერ სამ მეტრამდე აღწევს. ის მოზრდილი თევზებით იკვებება. ისინი, ზღვის ვეშაპების მსგავსად, წყლის სანაპიროებზე დადიან და გაფაციცებით ეძებენ თევზებს. მეთევზეებს არ უყვართ ზღვის ღორები, რადგან ეს უკანასკნელები საოცრად ბევრ თევზებს ნთქავენ. ისინი უშიშრად მიდიან მეთევზეების მიერ გაბმულ ბადეებთან და იქიდან ყლაპავენ ბადეში მოქცეულ თევზებს. ზოგჯერ ამ ქურდობაში ემართებათ უსიამოვნო ამბავი. მაგრამ ბადეში თავად ეშვებიან და ადვილად ხდებიან ღორმუცელობის მსხვერპლი. მათი ხორცი და ქონი არ არის უსარგებლო, თუმცა არც ისე გემრიელია, როგორც თევზები. ზღვის ღორებს ერთი საკვირველი თვისება აქვთ კიდევ; ისინი თავს მოვალედ თვლიან მიმავალ ან მომავალი გემი გააცილ-გამამოაცილონ. აიძრება თუ არა გემი, ისინიც აიძრებიან და რატომღაც ხშირად ძლიერ შორს მიჰყვებიან. გაჩერებულ გემთან ისინი უშიშრად იკრიბებიან და თავისუფალ ხალისიან თამაშს მართავენ. ზღვის ღორები გამრავლებას ზაფხულში იწყებენ. დედა ზღვის ღორი ერთ ან ორ გოკს ბადებს, რომელსაც 50 სანტიმეტრი სიგრძე აქვს და 5 კილოგრამს იწონის. დედა მათ შორეულად აწოვებს მარილიან რძეს. ერთ წელში ზღვის გოკი უკვე ღორია.

ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მეტად მრავალგვარი ჯიშის ღორი ცხოვრობს, მათ შორის ხშირად ისეთი საოცარი განსხვავებაა, რომ უცრად ძნელია მათი ღორად მიიჩნევა. დიდ ზღვებშიც ცხოვრობს



# სსარტყლო სიტყვები



ვის არ გაუგონია ისეთი სიტყვები, როგორცაა „ბოიკოტი“, „ლინჩის კანონი“, „შარლატანი“, „თქვა რუქამ არაკი“, „ვერტიკალი“... ასეთი გამოთქმები წიგნებშია შეგზღვრება და საუბარშიაც ბევრს ეცოდინება მათი აზრი, მაგრამ ზოგმა შეიძლება არ იცოდეს.

გარდა ამისა, ყველას როდი ეცოდინება საიდან და როგორ წარმოიშვა ესათვის გამოთქმა. „არიანდეს ძაფი“ რამდენიმე ასული წელია, რაც გავრცელებულია ყველა ხალხში, მაგრამ ბევრმა, განსაკუთრებით ჩვენმა მკითხველებმა, როდი იციან საიდან წარმოიშვა იგი.

ჩვენ ჟურნალში ვიწყებთ ამ გამოთქმების ბეჭედს სათანადო ახსნა-განმარტებით. ეს გააღრმავებს ჩვენი მკითხველების ცოდნის მარაგს და დაენბარება მათ წაკითხული ა და გაგონილის უკეთ შეთვისებაში.

„სსარტყლო სიტყვები“ შედგინა მწერალმა როდიონ ქორქიამ. ვთხოვთ მკითხველებს, მოგვეწერონ, რადაა სიტყვებისა და გამოთქმების განმარტება სურთ მათ.

## რედაქცია

1. გაზეთი — სიტყვა გაზეთი წარმოიშვა იტალიური სიტყვიდან „გაზეტა“, რაც პატარა ფულს ნიშნავს. ამ პატარა ფულს ახდევინებდნენ იტალიაში ხალხს უკანასკნელი ამბების წაკითხვისათვის. მე-16 ს. ვენეციის სენატი ასეთ ფულს ახდევინებდა იმით, ვისაც სურდა გაეგო თურქებთან ომის ამბები. მე-18 ს. პარიზში ექიმმა რენდომ პატენტი აიღო ყოველდღიური ცნობების გამოსაცემად, რომელსაც „გაზეტ“ უწოდა.

2. ბოიკოტი — პირის შეგვრა.

ინგლისში მე-17 ს. ცხოვრობდა კაპიტანი ბოიკოტი, რომელიც სასტიკად ეპყრობოდა თავის მუშებს. მუშებმა პირი შეჭკრეს და უარი განაცხადეს მუშაობაზე. ბოიკოტი წაიდა მეზობელ სოფელში. იქიდანაც უარით ვაისტუმრეს, რადგან იცოდნენ ბოიკოტის მუშების გაფიცვის ამბავი. ევრსად იშოვა ბოიკოტმა მუშები და იძულებული შეიქნა ამერიკაში გადასახლება.

3. ლინჩის კანონი — თვითნებური ვასამართლება. ჩრდილოეთ ამერიკაში არის ერთი შტატი, ჩრდილოეთის კაროლინა. ამ შტატის მცხოვრებლებმა თავიანთ მშობთველს ჯონ ლინჩს უფლება მისცეს თავისი შეხედულებით გაესამართლებინა

კანონის დაპრღვევი. ჩრდილოეთ კაროლინის მცხოვრებნი ფიქრობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კანონები საკმაოდ მაკაცრი არ არისო. ამჟამად ლინჩის კანონით ხშირად ხანგებს ასამართლებენ ამერიკაში, ე. ი. დაიჭერენ და იქვე ჩამოკიდებენ ბოძზე, ფარანზე თუ ხეზე.

4. ჩინური კედელი — გათიშვა, გამოჯვანა მეზობლისაგან.

მე-11 ს. ჩვენს ერამდის, მონღოლები დაეცენ ჩინეთს და დაიპყრეს. შემდგომი თავდასხმისაგან უზრუნველსაყოფად ჩინელებმა უზარმაზარი კედელი ააგეს თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებზე. კედლის სიგრძე 4.000 კილომეტრს უდრის.

5. შოვინიზმი — წრე გადასული ნაციონალიზმი, სხვა ერის სიძულვილი.

საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონს ჰყავდა ჯარისკაცი შოვინი. ნაპოლეონი რომ მოკვდა, შოვინმა თქვა: მისი სიკვდილი შეუძლებელია. შოვინს არ სჯეროდა თვისი სათაყვანებელი გმირის სიკვდილი. ამის შემდეგ თავისი ქვეყნით ბრმად გატაცებას შოვინიზმი ეწოდება.



მოედნის შუა ადგილზე გაავლეთ ხაზი. მოთამაშეები აირჩევენ ორ ხელმძღვანელს, გაყოფიან ორ თანასწორ ნაწილად და დადგებიან ხაზთან ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით. საერთო სივრცის შემდეგ ერთი ჯგუფის მოთამაშეები ჩაკიდებენ ხელს მეორე ჯგუფის მოთამაშეებს და ცდილობენ მოწინააღმდეგე გადმოითრიონ თავის მხარეზე, რომელსაც გადმოითრევენ ის ითვლება ტყვედ. თავისუფალი მოთამაშე კი გაიქცევა რომელიმე თავის ამხანაგის დასახმარებლად, ჩაჭიდება ხელს წყლთან და ეხმარება გამოწყვევაში. იმარჯვებენ ისინი რომლებმაც გადმოითრიეს თავისკენ მეორე ჯგუფის ყველა წევრი.

### ლილიუბები და ჯოლიათები



ბავშვები ღვანა წრეში. ხელმძღვანელი ყვირის: „გოლიათებო“, ბავშვები უნდა შედგენ ფეხის წვერებზედ და ხელებიც მაღლა უნდა აწიონ. ხელმძღვანელი ყვირის „ლილიუბებო“, ბავშვები უნდა ჩაჯდნენ და ხელებიც ჩამოუშვან. ხელმძღვანელიც ბავშვებთან ერთად აიწევეს მაღლა ხელს და ჩაჯდება ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ განზრახ უშვებს შეცდომას. თუ ამ დროს რომელიმე მოთამაშე ბავშვსაც მოუვა შეცდომა, ის გადის თამაზიდან.

### მოძინავე ჯონი



ყველა მოთამაშე დგას წრეში. თითოეულ მათგანს აქვს ხომერი. შუაში დგას თამაზის ხელმძღვანელი (მას ირჩევენ მოთამაშეები), მასაც აქვს თავისი ნომერი. ჯონი, რომელიც ერთი პოლო მიწაზედ არის დაყრდნობილი, მეორე ბოლოზე თითის დადებით უჭირავს ხელმძღვანელს, როცა ყველაფერი რაგზეა თამაზის ხელმძღვანელი ხმამაღლა აცხადებს რომელიმე მოთამაშის ნომერს და ჯონს უშვებს ხელს, გამომახებულმა უნდა მოასწროს ჯონთან მისვლა, მანამდე ვიდრე იგი მიწაზედ დაეცემა. თუ ის ამის გაკეთებას ვერ მოასწრებს მაშინ ის გადის თამაზიდან. ხელმძღვანელი კი იწყებს სხვა ნომრების გამოძახებას.